გილოცავთ 3 და 8 მარტს!

სოფლის ხმა

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №5(67) 2014 წ. 1-15 მარტი ფასი 50 თეთრი

„სოფლის პროგრამის“

პრიორიტეტების გამოვლენა დასრულდა

10 მარტს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დასრულდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ პრიორიტეტების გამოვლენა სოფლებში.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ლოლაძე, გამგებლის მოადგილე ბესიკ მარტიაშვილი, პროგრამის პრიორიტეტების გამოსავლენად შეხვდა მუნიციპალიტეტის მთელი რიგი სოფლების მოსახლეობას.

სოფლებში პირველ პრიორიტეტად სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის რეაბილიტაცია და შიდა საუბნო ქსელების მოწყობა დასახელდა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

შიბლიანში

უდაბნოში

მანავში

გილოცავთ!

დედის დღესა და ქალთა საერთაშორისო დღეს ვულოცავთ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ყველა თანამშრომელ ქალბატონს, გისურვებთ ყოველივე კარგსა და ლამაზს ცხოვრებაში. თქვენ საპასუხისმგებლო საქმიანობით ერთგულად ემსახურებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის პატარების აღზრდას, მათ სრულყოფილ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. გამარჯვებები და წარმატებები გეზეიმოთ, რომლისკენაც ასე მიზანსწრაფულად მიისწრაფით.

აიპ „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელობა

თამილა ჯოხაძის ნახატი

გაზაფხულის შემობრძანებას და ლამაზ დღესასწაულებს დედის დღეს — 3 მარტსა და ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს გილოცავთ საგარეჯოს სპორტგაერთიანების ყველა თანამშრომელ ქალს. თქვენ თქვენეული ერთგულებით, საქმის სიყვარულით და დიდი ენთუზიაზმით ემსახურებით საქმეს, რომელსაც ჩვენი მუნიციპალიტეტის მოზარდი თაობა, ახალგაზრდობა ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღისკენ მიჰყავს. თქვენი საქმიანობით ტოლს არ უდებთ მამაკაცებს იმ საკეთებლის კეთებაში, რომელიც საძირკველს უყრის გარეჯული სპორტის ფართო სარბიელზე წარმატებით წარმოჩენისთვის. ჩვენ გვეამაყებით ისეთები, როგორებიც ხართ — თქვენი ნდობა, თქვენზე დაყრდნობა შეიძლება, რადგან თქვენ ღალატი არც შეგიძლიათ და არც გჩვევიათ!

მაშ, კვლავაც ერთად ავწიოთ ჩვენ ჩვენეული ტვირთი თქვენთან ერთად. ყოველთვის გამარჯვებულები და გალაღებულები გვაჩვენოს უფალმა თქვენი თავი.

კეთილი სურვილებით, უდიდესი პატივისცემით

საგარეჯოს სპორტგაერთიანების თანამშრომელი მამაკაცები.

დანიშვნა

კოჯბანის თემის რწმუნებული შმაგი ბერიძიშვილი

დაიბადა 1971 წელს სოფ. კოჯბანში

1988 წელს დაამთავრა გომბორის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მიენიჭა სპეციალობა – ისტორიკოს-სამართალმცოდნე. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ეწეოდა შინა ფერმერულ მეურნეობას.

მიმდინარე წლის 5 მარტს შმაგი ბერიძიშვილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით კოჯბანის თემის რწმუნებულად დაინიშნა.

სასოფლო-სამეურნეო ბარათები

მოიხნა და მიმდინარეობს ხვნა

მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში გრძელდება 17 თებერვლიდან დაწყებული საქართველოს მთავრობის მიერ მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოებში ხელშეწყობის პროგრამა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მონაცემებით, სავარაუდოდ მოსახნავი 2665, 7 ჰა-დან 10 მარტის მდგომარეობით სასოფლო-სამეურნეო ბარათებით მოხნული იყო 901,58 ჰა მიწა. ამ დროისათვის ყველაზე მეტი სამუშაოები ჩატარებული ჰქონდა შპს „მექანიზატორის“ საგარეჯოს ბრიგადას, რომლის მენეჯერია გიორგი მარხვაშვილი. მთლიანობაში ამ ბრიგადის მექანიზატორებს უკვე მოხნული ჰქონდათ 581.24 ჰა მიწა. აქედან ყველაზე მეტი – 135,45 ჰა – საგარეჯოში, 89 ჰა – მანავში, 81,82 – ნინოწმინდაში, 56,24 – გიორგიწმინდაში, 63,62 – პატარძეულში, 28,85 – თოხლიაურში, 30,4 ხაშმში, წყაროსთავში – 75, კოჯბანში – 12.38, გომბორში – 2.6, უჯარმაში – 5,9 ჰა.

ამავე რიცხვისათვის ბადიაურის ბრიგა-

დასასრული მე-2 გვ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა

თათბირი

თანდათან გვარდება პრობლემები

იკვეთება

სამომავლო

პრიორიტეტული საკითხები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის 11 მარტის ტრადიციულ თათბირს ესწრებოდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ლოლაძე, მისი მოადგილეები ბესიკ მარტიაშვილი, ცისმარ თედიაშვილი, გამგეობის სამსახურების უფროსები, ქალაქისა და ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულები. თათბირს ***მუნიციპალიტეტის გამგებელი* გიორგი ლოლაძე** უძღვებოდა.

თათბირზე ხაშმის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის ზურაბ ყირმელაშვილის მიერ გაკეთებული ინფორმაციით, ხაშმის მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდებამ სისტემური ხასიათი მიიღო. სასმელი წყლის სათავეში გატარებულმა მთელმა რიგმა ღონისძიებებმა შედეგიც გამოიღო – გაიწმინდა მიწის მასით ამოვსებული სასმელი წყლის სათავე, რომელშიც ადვილად ხდებოდა ტალახის შერევა, შესაბამისად, სასმელი წყალი უვარგისი ხდებოდა. ასეთივე მდგომარეობა იყო უჯარმაშიც, რომლის მოსახლეობაც აღნიშნული სათავე ნაგებობიდან მარაგდება სასმელი წყლით. ამჟამად მდგომარეობა ორივე სოფლის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების საკითხში გამოსწორებულია – განაცხადეს უჯარმისა და ხაშმის რწმუნებულებმა ვეფხია დიღმელაშვილმა და ზურაბ ყირმელაშვილმა.

რაც შეეხება სოფელ უდაბნოს მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების საკითხს, აქ კვლავ პრობლემაა – ამ დღეებში თოხლიაური-უდაბნოს სასმელი წყლის მაგისტრალზე მოხდა ორი დიდი დაზიანება, რის შედეგადაც უდაბნოს მოსახლეობას სასმელი წყალი აღარ მიეწოდება. სწორედ ამ საკითხის მოგვარებაზე დახმარება ითხოვა უდაბნოს რწმუნებულმა მამია ჩართოლანმა.

ყანდაურის თემის რწმუნებულის გია შენგელიძის ინფორმაციით, ყანდაურაში უკვე დაიწყო სოფლის გაზიფიცირების სამუშაოები. რაც შეეხება ზემო ყანდაურისა და შიბლიანის გაზიფიცირების საკითხებს, აქ გაზიფიცირების სამუშაოები შესაბამისი პროექტების განხილვისა და შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ დაიწყება. ასევე, უახლოეს დღეებში დაიწყება სოფლის გაზიფიცირების სამუშაოები სოფელ ვერხვიანში.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის ბესიკ მარტიაშვილის მიერ გაკეთებული ინფორმაციით მარტის შუა რიცხვებში დაიწყება ტერიტორიული ორგანოების: თოხლიაურის, მანავის, ბოგდანოვკის (მზისგულის), ბადიაურის გაზიფიცირების სამუშაოები.

თათბირზე ხაზი გაესვა „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით განსახორციელებელი პროექტების შესრულებისას ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულების მხრიდან აუცილებელ აქტიურ ზედამხედველობას მშენებლების მიერ ჩატარებული სამუშაოების ხარისხსა და სამშენებლო ვადებზე.

სოფლებში სასოფლო-სამეურნეო ბარათებით მიმდინარე ხვნის მდგომარეობის შესახებ ვრცლად ისაუბრა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა ნიკოლოზ ჯავახიშვილმა.

სასოფლო-სამეურნეო ბარათები

მოიხნა და მიმდინარეობს ხვნა

დასასრული

დის მექანიზატორებს (მენეჯერი დავით გველუკაშვილი) მოხნული ჰქონდათ 139,11 ჰა მიწა. ბადიაურში – 41,44, ყანდაურაში – 24,52, მზისგულში – 41,47, შიბლიანში – 20,61. რაც შეეხება შპს „მექანიზატორის“ კაკაბეთის ბრიგადას (მენეჯერი შალვა მჭედლიშვილი), 10 მარტისათვის მოხნული ჰქონდა 30 ჰა მიწა. აქედან ყველაზე მეტი – 19 ჰა – კაკაბეთში, 5 ჰა – პატარა ჩაილურში, 3 ჰა ვერხვიანში.

10 მარტისათვის 110,6 ჰა მიწა ჰქონდათ მოხნული თულარსა და იორმუღანლოში კონტრაქტორ ინდმეწარმე „მიხეილ ჭიკაძის“ მექანიზატორებს – თულარში – 102 და 8,6 ჰა იორმუღანლოში.

სასოფლო-სამეურნეო ბარათებით მიწის ფართობების ხვნის კამპანია ნაწილობრივ შეაფერხა მარტის დასაწყისში მოსულმა ნალექებმა და კაკაბეთის მექანიზატორთა ბრიგადის ტექნიკის გაუმართაობამ, რის გამოც ვერ მოხერხდა ამ სამუშაოების დიდ ჩაილურსა და ვერხვიანში სრულყოფილად წარმართვა. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჯავახიშვილისაგან მიღებული ინფორმაციით ტექნიკის გაუმართაობაში არსებული ხარვეზები გამოსწორდა და 13 მარტიდან აღნიშნულ სოფლებში დაიწყო მოსახლეობის მიწების ხვნა. შპს „მექანიზატორის“ სამუშაო გეგმა-გრაფიკის მიხედვით მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო ბარათებით მიწის ხვნა 25 მარტისთვის უნდა დამთავრდეს.

გივი დაბახიშვილი

ყურძენს ფასი დაეწია

და

მევენახეობის აღორძინების პროცესიც დაიწყო

ნიკოლოზ ჯავახიშვილი –



საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის მრჩეველი.

მევენახეობა ძველთაგანვე ქართველი ხალხის მატერიალური სიძლიერის ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო. ქართველი კაცისათვის ვაზს ჯერ კიდევ უძველეს დროში ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. ქრისტიანობის შემოსვლამ,,რომლის დროსაც წმ. ნინო ჩვენს ქვეყანას ვაზის ლერწებისაგან შეკრული ჯვრით მოევლინა, ვაზმა სიმბოლურად მეტი დატვირთვა მიიღო და ვაზის კულტურის აღორძინებას უფრო მძლავრი საფუძველი ჩაუყარა.

ცნობილია, რომ მრავალსაუკუნოვანი ბუნებრივი და ხალხური სელექციის გზით გამოვლინებულია 500-ზე მეტი ადგილობრივი ვაზის ჯიში. საწარმოო სპეციალიზაციის ზონების მიხედვით ჩვენი მუნიციპალიტეტი I და II ზონაში შედის (ალაზნისა და ივრის ხეობები), სადაც მაღალხარისხოვანი თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების წარმოებაა შესაძლებელი. მრავალჯიშიანობის აღმოფხვრისა და დაბალხარისხიანი ჯიშების გავრცელების თავიდან ასაცილებლად ვენახების გაშენების დროს უნდა შეირჩეს ისეთი ჯიშები, რომლებიც გამოირჩევიან მთელი რიგი ძვირფასი სამეურნეო ნიშან-თვისებებით, მოსავლიანობითა და ხარისხით, დაავადებათა და მავნებლების, აგრეთვე, არახელსაყრელი კლიმატური პირობებისადმი (ყინვა, გვალვა) გამძლეობით და სხვა.

სწორედ ასეთი ძვირფასი თვისებებით გამოირჩევა ჩვენს მუნიციპალიტეტში დარაიონებული ვაზის ჯიშები „რქაწითელი“, „მწვანე“ და „საფერავი“.

თუმცა უნდა აღვნიშნოთ,რომ ცალკეული ჯიშების ფართობებს შორის შეფარდება მეტად არადამაკმაყოფილებელია. მარტო ერთ ჯიშს – რქაწითელს მუნიციპალიტეტში ვენახების მთელი ფართობის 68%-ზე მეტი უკავია, მაშინ როცა „საფერავს“, რომელიც უძვიფასეს ჯიშს წარმოადგენს მაღალხარისხოვანი სუფრის წითელი და ბუნებრივად ტკბილი ღვინოების დასამზადებლად, მხოლოდ 929 ჰექტარი უჭირავს. იგივე ითქმის ისეთ უნიკალურ ჯიშზე, როგორიც არის „მწვანე“, მაშინ, როდესაც მუნიციპალიტეტში მევენახეობის განვითარებისათვის ორი შესანიშნავი მიკროზონა გვაქვს, როგორიც არის ხაშმი და მანავი.

შარშანდელმა წარმატებულმა რთველმა მევენახეებს დიდი იმედები ჩაუსახა. ქართული ღვინოების მაღალმა ხარისხმა, მათზე მოსახლეობის მზარდმა მოთხოვნილებამ, აგრეთვე, ქვეყნის ფარგლებიდან გატანამ, ვენახებისათვის ახალი ფართობების ათვისება გამოიწვია. მარტო ჩვენს მუნიციპალიტეტში წელს ათეულობით ახალი ვენახები გაშენდება.

ვენახების გაშენების დროს ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ძირითადი ამოცანები:

1. სწორი აგროღონისძიებათა სისტემის შემუშავება და ფართოდ დანერგვა პირველხარისხოვანი სარგავი მასალის გამოსავლიანობის გასადიდებლად;

2. სტანდარტული ჯიშების ბიოლოგიური თვისებების, ბუნებრივი პირობებისა და საწარმოო სპეციალიზაციის შესაბამისად ვენახების გაშენება თანამედროვე პროგრესული ტექნოლოგიებით, მექანიზაციისა და ქიმიზაციის ფართო გამოყენებით.

ამჟამად მთელი ვენახების და შესაძლოა ხეხილის ბაღების დაახლოებით 80% განლაგებულია დაბლობ-ბორცვებიან და მთისწინა ნაკვეთებში.

მევენახეობისათვის ყველაზე უფრო ძვირფასია მთებისა და ბორცვების ფერდობები, რომლებიც მექანიზებული პლანტაჟის სიძნელეებთან დაკავშირებით დიდი ხანი არ არის, მიტოვებული იყო. ამჟამად უახლესი ტექნიკის პირობებში შეიძლება და კიდევაც უნდა იქნეს ათვისებული.

ჩვენი ქვეყნის მევენახეობის რაიონებში მასობრივად იყო გავრცელებული ფილოქსერა. ამ მხრივ გამონაკლისი არც ჩვენი მუნიციპალიტეტია, ამიტომ ვენახები გაშენებული უნდა იქნეს მხოლოდ ნამყენი ნერგით. ჩვენი ზონისათვის ვაზის სამრეწველო ჯიშებისათვის შერჩეულია შემდეგი საძირეები: „რქაწითელისათვის“ - ბურლანდერი X, რიპარია 420ა, შასლა X ბერლანდერი 41ბ, ბერლანდერი X რიბარია კობერ 5ბბ. საფერავისათვის – ბერლანდერი X რიბარია კობერ 5ბბ.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში ხსენებულ საძირე ჰიბრიდებს სათანადო ყურადღება არ ექცევა. რეკომენდებული საძირე ჰიბრიდების ფართობი წლითიწლობით მცირდება, რაც მიუტევებელია და აუცილებელია მათი გაშენება. ამ მხრივ სასიამოვნო გამონაკლისია ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ეროვნული ცენტრი მცხეთაში „ჯიღაურა“. ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებობდა საძირე ვაზის სადედეები, რომლებიც განადგურდა, რაც გარკვეულ პრობლემებს უქმნის ჩვენს მევენახეებს.

საძირე ვაზის სადედეების გაშენებისას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ნაკვეთის სწორად შერჩევას. ნიადაგური პირობები ხელს უნდა უწყობდეს ვაზის ძლიერ ზრდა-განვითარებისა და ლერწის ხარისხოვან მომწიფებას.

ლერწის აჭრა და დამზადება უმჯობესია ადრე გაზაფხულზე, უშუალოდ მყნობის დაწყების წინ. ერთი ნამყენისათვის აჭრილი ლერწის სიგრძე 35-40 სმ-ის ტოლი უნდა იყოს.

ვაზის ნამყენი ნერგის წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა სტრატიფიკაცია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ელექტროავტომატიზებულ საკნებში ტარდებოდა.

ერთ-ერთი პროგრესული ღონისძიებაა ნამყენი ნერგის გამოყვანა ტორფნეშომპალიან მუყაოს ქოთნებში კარტონაჟული მეთოდით.

ვენახის გაშენების წინ წინასწარ უნდა მოხდეს სავენახედ შერჩეული ფართობის ნიადაგური პირობების შესწავლა, შედგეს სათანადო პროექტი, მასში მოცემული უნდა იყოს უბნები, გზები, სადრენაჟო-სარწყავი სისტემა, ქარსაფრები, მწკრივების მიმართულება, კვების არე, ჯიში და სხვა.

ნამყენის დარგვამდე არანაკლებ 3 თვით ადრე საჭიროა ნიადაგის დაპლანტაჟება 50-60 სმ-ის სიღრმეზე. ჩვენი ზონისათვის რეკომენდირებულია რიგთაშორისი მანძილი 2-2.5მ, ხოლო მდიდარი ნიადაგებზე ძლიერ მოზარდი ჯიშებისათვის (განსაკუთრებით სასუფრე) ჯიშებისთვის 2.20-2.50მ, ხოლო რიგში ვაზებს შორის მანძილი 1.20-1.30მ, შტამბის სიმაღლე 70-80 სმ. 3-4 თვით ადრე დაპლანტაჟებულ, დარგვის წინ მოსწორებულ და დაგეგმილ ნაკვეთებზე ვაზი უნდა დაირგოს ჰიდრობულით, ან ორმოში ნაკელის შეტანით გვიან შემოდგომიდან ადრე გაზაფხულამდე. სარწყავ და ტენით უზრუნველყოფილ ზონებში კარგ შედეგს იძლევა დაპარაფინებული ნერგის ადრე გაზაფხულზე დარგვა. ახალშენ ვენახებში განსაკუთრებით საყურადღებოა ნიადაგის დამუშავება, ვაზის მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლა, მორწყვა და სხვა.

სოფლის მკვიდრთა ცხოვრების დონის ამაღლება მრავალწლიან ნარგავების და კერძოდ ვენახების გაშენებაშია. საქართველოს მსოფლიოში მევენახეობის და მეღვინეობის წარმატებებით იცნობენ. ამის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ იუნესკომ ქვევრის ღვინო არამატერიალურ ფასეულობათა მსოფლიო კულტურის ძეგლად აღიარა.

დღევანდელი გადასახედიდან

როგორ მესმის ქალური ბედნიერება

ცისმარ ტოკეშაშვილი –
საგარეჯოს II საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:

ᲗᲣᲔᲠᲗᲓᲔᲑᲘ კეთილი ნების ადამიანების სურვილებს და დედის დღესა და გაზაფხულს ვულოცავ ყველა ქალს. ყველა დედას, ყველა მეუღლეს. ვუსურვებ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

ბედნიერება, ზოგადად, შეფარდებითი ცნებაა და მისი განცდაც ძალიან სუბიექტურია.

ჩემი აზრით, აწმყოში თითქმის არ არსებობს სრულყოფილი ბედნიერება, რადგან, სამწუხაროდ, ბედნიერებას მხოლოდ მაშინ ვგრძნობთ, როცა ვკარგავთ, ამიტომაც იგი ყოველთვის წარსულში რჩება.

მაინც რა არის ქალური ბედნიერება?

ქალი – საწყისი სიცოცხლისა, სიკეთისა თავადაა წყარო სიყვარულისა და ბედნიერებისა, მაგრამ ამ წყაროს სულ მოფერება და გაფრთხილება სჭირდება, რომ არ დაშრეს.

ქალის ყველაზე დიდი ბედნიერება, დედობაა, ჩვილის პირველი შემოხედვაა, მისი ტკბილი ღუღუნი და პირველი ნაბიჯებია. „ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია გმირადაო“ და უპირველესი ქალური ბედნიერება და დიდი გმირობაც, სწორედ, „ლამაზად“ შვილების აღზრდაა.

გააჩნია, ვისთვის რა არის ღირებული. ჩემთვის კი უდიდესი ქალური ბედნიერებაა ურთიერთგაგება და ურთიერთპატივისცემა მეუღლეებს შორის, თბილი კერა და ტკბილი, გაუბზარავი ოჯახი. როცა შვილები მშობლების გვერდით იზრდებიან, ყოველდღიურად გრძნობენ მათ სითბოს, სიყვარულს, მზრუნველობას... როცა ხედავ, რომ ამაგი დაგიფასდა, როცა უკვე გაზრდილ შვილებს უსიტყვოდაც ესმით შენი, უყვარხარ, პატივს გცემენ და გაფასებენ... მბრალება ყველა დედა, ცხოვრების უკუღმართობამ ლუკმა-პურის საშოვნელად სადღაც, შორს რომ გადატყორცნა და უსაზღვროდ მტკივა ის მონატრება და სევდა, მათი შვილების თვალებში რომ ვხედავ.

ბედნიერია ქალი, თუ მას გვერდით უდგას ღირსეული მეუღლე, რომელმაც იცის მისი ფასი. ქალი, რომელიც ნამდვილი დედაბოძია თავისი ოჯახისა, რომელიც საკუთარი თავის რეალიზებას ბრწყინვალედ ახერხებს შინ თუ გარეთ, რომელსაც აქვს საყვარელი საქმე, თავისი ადგილი ამ ცხოვრებაში და რომელიც, ცხოვრებისეული სირთულეების მიუხედავად, ბოლომდის რჩება ღირსეულ ქალად.

და ბოლოს, ბოლოს კი არა, უპირველესად უდიდესი ქალური ბედნიერება ლამაზ, გაუბზარავ სიყვარულშია. უსიყვარულოდ ხომ „მზეც არ სუფევს ცის კამარაზე“, სიყვარულში, რომელიც კი არ კვდება, კი არ ხუნდება, არამედ მხოლოდ ბერდება, სახეს იცვლის, უძლებს ყველა გამოცდას და ბოლომდის მშვენიერია, როგორც „ყვავილი შემოდგომის“.

თითოეული ჩვენგანი განუყოფელი, ორგანული ნაწილია თავისი ქვეყნისა და, ჩემი აზრით, დღეს შეუძლებელია სრულყოფილი ბედნიერება განიცადოს ქალმა, როცა გვერდით ამდენ გაჭირვებულს ხედავს.

ყველა სატკივარისა და საწუხარის დაამებას ვუსურვებ ჩემს ქვეყანას, ყველა ქალს კი – უღრუბლო ცას, შვილთა სიმრავლეს, ღირსეულ დედობას, სიკეთეს, სიხარულს, სიყვარულსა და უდიდეს ქალურ ბედნიერებას!

ხელოვნების სამსახურში

ქალური ბედნიერების მოსაპოვებლად

ᲚᲐ�გᲝᲓᲔᲮᲘᲡ ულამაზეს სოფელში დაიბადა და გაიზარდა. სოფლის სილამაზეს ლამაზ ფერებში აღიქვამდა სულით და ხორცით ხელოვანი გოგონა – ხატავდა, უყვარდა მუსიკა, ქარგვა, ქსოვა, კერვა. ყველაფერ ამას სიამოვნებით აკეთებდა. სწავლობდა სკოლაში და პარალელურად ეუფლებოდა ხატვის საიდუმლოებებს – ლაგოდეხის საბავშვო ოთხწლიანი სამხატვრო სკოლის კედლებში დაეუფლა ფერწერას, გრაფიკას, ქანდაკებას, გობელენს, ხელოვნების ისტორიას. სკოლის დამთავრების შემდეგ კი სწავლა თბილისის ს-ს ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხაზვა, სახვითი ხელოვნების სპეციალობაზე განაგრძო.

შემდეგ კი ბედი კაკაბეთელ სულიკო თამაზაშვილს დაუკავშირა და დღეს 3 შვილის დედაა. თამილა ჯოხაძემ პატარა ჩაილურის სკოლაში დაიწყო მუშაობა 20 წლის წინ, რომელიც მისთვის თითქმის II ოჯახი გახდა. 2006 წლიდან კი კაკაბეთის საჯარო სკოლაში დაიწყო მუშაობა და წარმატებულად ასწავლის ხელოვნებას.

თამილა ჯოხაძის შემოქმედებას მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების სარვამარტო ღონისძიებაზე წარმოდგენილი ნამუშევრებით გავეცანით, მოგვხიბლა მისი ხელით შესრულებულმა ნახატებმა, ფერების სიხასხასემ, მასში შეტანილმა სითბომ. მისი ნამუშევრები თითქოს გესაუბრებიან, ამჟღავნებენ ავტორის ხასიათს, მისწრაფებას, გიხსნიან, რომ თუ ქალმა ქალური ბედნიერება ვერ მოიპოვა, ის ასეთი ნაზი, ლამაზი და თბილი არ იქნება. მისი ხელით შექმნილი ხელოვნების ნიმუშში, რომელშიც ფერებია ჩადებული, ასეთი გამჭვირვალე და ჰაეროვანი არ იქნება. თავად თამილამ კი ამ კითხვაზე ასე მიპასუხა: ბედნიერება არც თუ ისე ადვილი მოსაპოვებელია, რადგან ცხოვრება (მით უმეტეს XXI საუკუნეში) ნამდვილი ბრძოლაა, ბედნიერების მწვერვალს მხოლოდ ერთეულები აღწევენ, როდესაც თვალს გადაავლებ ცხოვრების განვლილ გზას, უთუოდ გაიფიქრებ: რა ბედნიერია ადამიანი, რომელიც მიაგნებს თავის ნამდვილ საქმეს.

ქალური ბედნიერების მოსაპოვებლად საჭიროა შრომისმოყვარეობა, მიზანდასახულობა, სიმტკიცე. ქალურ ბედნიერებას ერთგვარად ავსებს ლამაზი, ჯანსაღი ოჯახი – შვილები, ეს ნამდვილად დიდ სიხარულს ანიჭებს ქალს, ქალს, რომლის სიყვარულმაც არ იცის ზღუდე, არ იცის დაბრკოლება...

ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ!

ეს საინტერესოა

აკვანი

ᲐᲙᲕᲜᲘᲡ რწევის დროს ჩვილის სხეულის უჯრედები გადაადგილდება სხვადასხვა მანძილზე, თან ისეთ მრუდზე, რომელიც სპირალის მსგავსია. თუ გავიხსენებთ, რომ უჯრედში მემკვიდრეობითი ნიშან-თვისების მქონე დნმ-ს მოლეკულები სპირალის ფორმისაა, ადვილად მიხვდებით აკვნის რხევის ამ თავისებურების უდიდეს მნიშვნელობას. აკვნის ეს რხევა ხელს უწყობს აკვანში ჩაკრული ჩვილის დნმ-ს მოლეკულების მყარად და საიმედოდ ჩამოყალიბებას. მკვეთრად აუმჯობესებს სხეულში სისხლისა და სითხის მიმოქცევას. აკვანში ბავშვის თავის უფრო მკვეთრი ქანაობა ხელს უწყობს ტვინის ნახევარსფეროების სისხლით მომარაგებას, რაც იწვევს აზროვნების ხარისხობრივ გაუმჯობესებას. აგრეთვე რწევის შედეგად წარმოიქმნება ხერხემლის სიგრძივი დაჭიმულობა, რითაც ხელი ეწყობა თითოეული მალის ზრდას ორივე მიმართულებით. მაშასადამე ბავშვის სხეული სიგრძეში მატულობს, რაშიც კიდევ უფრო ხელს უწყობს არტახების მცირე ზეწოლა.

არტახის გამოყენებით აკვნის რწევისას მიმდინარეობს ფილტვების გაძლიერებული ვარჯიში, დადებითად მოქმედებს მკერდის ძვლოვან სისტემაზე გაზრდილ ზეწოლას. შესაბამისად ნეკნების სიმაგრე, სიმტკიცე და მოქნილობა მატულობს, რომ გაუძლოს გაზრდილ დატვირთვას. ამით მკერდი ყალიბდება ძლიერი, მკვრივი და მაგარი.

აკვანში ჩაკრული ბავშვი თავისთავად ცდილობს არტახებიდან ხელებისა და ფეხების გათავისუფლებას. პატარა კუნთები იძაბება, მყესები და ძვლები განიცდის გაზრდილ დატვირთვას, რომელიც ფიზიკური ვარჯიშის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. ბავშვის მკერდი, ზურგი და კეფა უფრო საიმედო სიმაგრეს ღებულობს, ხოლო ლეიბში ჩამაგრებული შიბაქის საშუალებით, სადაც ორგანიზმიდან გამოყოფილი სითხე ჩაედინება, ბავშვის ორგანოები დაცულია ჩახუთვისა და გადახურებისაგან, რომელიც დადებითად მოქმედებს ბავშვის კანზე და ფსიქიკაზე.

ქართული აკვანი აგებულია ბიბლიური წმინდა რიცხვების შესაბამისი ზომებით: ჩვილის საწოლი მდებარეობს 40 სმ-ის სიმაღლეზე; აკვნის სიგრძეა 33 სმ, ირწევა 7-8 სმ-ზე. რწევა მიმდინარეობს ოქროს კვეთაში“.

მერაბ ცინცაძე

გენდერული თანასწორობა

თამარ ურდულაშვილი
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მთავარი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში

მეტი აქტიურობა ქალებს

2014 წლის იანვარში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნა დამატებითი საშტატო ერთეული ადგილობრივ თვითმმართველობაში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის გაძლიერების მიზნით. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მთავარი სპეციალისტად გენდერული თანასწორობის საკითხებში დაინიშნა თამარ ურდულაშვილი. ჩვენ ქ-ნ თამართან გვქონდა იანვარში ინტერვიუ, სადაც მან გაგვაცნო ის სამუშაო გეგმა, რომელიც მიმდინარე წელს უნდა განხორციელდეს. ამჟამად ქ-ნი თამარი იმ პირველ ნაბიჯებზე გვესაუბრება, რომელიც ამ ორიოდე თვეში გადადგეს. მან კიდევ ერთხელ შეგვახსენა სამოქმედო გეგმის ძირითადი მიმართულებები, უფრო ახლოს გაგვაცნო საკუთარი თავი:

– სამოქმედო გეგმის ძირითადი მიმართულებებია: ადგილობრივ თვითმმართველობებში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის შექმნა; გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის შექმნა, ადგილობრივ პოლიტიკაში გენდერული ასპექტების გათვალისწინება; გათანასწორების სფეროში გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირება და მოქალაქეთა ცოდნის (ცნობიერების) ამაღლება. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ეკონომიკის სფეროში, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში გენდერული ასპექტების გათვლისწინება. გადაწყვეტილებების მიღების დონეზე ქალთა მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა; თითოეული ამ მიმართულებისთვის სამოქმედო გეგმაში ასახულია ამოცანა, საქმიანობა, ინდიკატორი – შემსრულებელი, ვადა და დაფინანსების წყარო.

რაც შეეხება დღევანდელ ჩემს საქმიანობას, ამჟამად ვმუშაობ საინფორმაციო მასალების (ბროშურების) გავრცელებაზე, რაშიც დამეხმარნენ ქართულ-უკრაინული სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის სტუდენტები. მინდა გითხრათ, რომ საინფორმაციო მასალებში ასახულია უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 – ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, კონვენციიდან ქალთა ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ, ოჯახურ ძალადობაზე და ა.შ.

ამასთან, მქონდა საინფორმაციო სახის შეხვედრები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან, სადაც დავგეგმე შეხვედრები სოფლის რწმუნებულებთან და მოსახლეობასთან. შეხვედრის მიზანი იყო და არის პრობლემების მოსმენა და ამ პრობლემების გზების ძიება.

რაც შეეხება ჩემს უახლოეს გეგმებს, ამაზეც გეტყვით, რომ ყოველი თვის ბოლოს საგარეჯოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში იგეგმება შეხვედრები საზოგადოებასთან.

მარტის ბოლოსათვის ვგეგმავ შეხვედრას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებთან. თემა იქნება: „ძალადობა“. მანამდე ვურჩევ მოსწავლეებს ნახონ ფილმები, სადაც ასახულია ძალადობა. ეს ფილმებია: „წიგნების ქურდი“, „ბიჭი ზოლიან პიჟამაში“, „სორაიას ქვეშ ჩაქოლვა“.

ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების აღსანიშნავად ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ თანამშრომელი ქალები დაასაჩუქრა 100-100 ლარით. ხოლო საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა საგარეჯოს პროფკავშირმა კი ფასიანი საჩუქრებით. დღეისათვის კი ვმუშაობ 2014 წლის ბიუჯეტის გენდერულ აუდიტზე და ვფიქრობ, 2015 წლის ბიუჯეტში აისახოს უფრო მეტი გენდერული ასპექტები, რადგან წინ დიდი და საინტერესო ღონისძიებები გველის. ახლახანს შეხვედრა მქონდა ჩვენი რაიონის მხატვრებთან, პოეტებთან, მუსიკოსებთან თემაზე „გენდერული თანასწორობა“ და შევთანხმდით, რომ მარტის ბოლოსათვის წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს იმ გამოფენისათვის, რომლის თარიღსაც დაინტერესებულ პირებს „გარეჯის მაცნეს“ საშუალებით ვაცნობებთ.

მინდა გითხრათ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციამ „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ მოამზადა სიუჟეტი ჩემზე, როგორც ქალზე, მეუღლეზე, დედაზე, საჯარო მოხელეზე, პოეტზე (რეჟისორია ქეთევან ნოზაძე).

უახლოეს მომავალში მთა მინდა წარვუდგინო სცენარი მოკლემეტრაჟიანი (შესაძლებელია დოკუმენტური) ფილმისათვის და მათივე დახმარებით მოხდეს გადაღება. სცენარს დავწერთ მე და ჩემი დისშვილი გიორგი ქოქიაური, ხოლო მუსიკალურად გააფორმებს მარინა ურდულაშვილი. მოფიქრებულია ფილმის სიუჟეტი, სავარაუდოდ ფილმს ერქმევა „მარტოობის სიმღერა“. ფილმში სათაურიდან გამომდინარე ასახული იქნება გენდერული ასპექტები. ვფიქრობ დოკუმენტურ ფილმზე. რამდენიმე დღის წინ შეხვედრა მქონდა აფხაზეთიდან დევნილ იურა მანჩხაშვილთან. ეს ადამიანი სასიამოვნო მოსაუბრეა, მიუხედავად იმისა, რომ გადატანილი აქვს დიდი ტკივილი, აქვს დიდი სითბო, რითაც გიპყრობს, შეჭყავხარ თავის სამყაროში და გამოგზაურებს, შენც მასთან ერთად განიცდი იმას, რა სტკივა, რა ატირებს, რა ადარდებს. ამ საქმესთან ერთად პარალელურად ვმუშაობ ახალ წიგნზეც, ხშირად დამიწერია ლექსი სამსახურშიც, შეხვედრებზეც, მოგეხსენებათ, რომ მუზამ არ იცის დრო და ადგილი... ამიტომ მინდა ძველი და ახალი ლექსები ერთ კრებულში გავაერთიანო და ყვითელგულა შემოდგომისას გამოვცე...

ვმუშაობ ეკონომიკის სფეროში ქალთა უფლებების გაფართოებაზე. შეხვედრები მქონდა ლიბერთი ბანკის მენეჯერთან და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის ხელმძღვანელთან ბატონ ნიკო ჯავახიშვილთან. გვინდა ხელი შევუწყოთ ფერმერ ქალებს, რათა შექმნან კოოპერატივები. დაინტერესებულ პირებს (ქალბატონებს) გავატარებთ კონსულტაციებს, აირჩევენ მიმართულებას, შეიმუშავებენ წესდებას. ქალები უნდა გაძლიერდნენ ფინანსურად, რადგან, მოგეხსენებათ, ძლიერი ქალი ძლიერ სახელმწიფოსაც ნიშნავს.

და ბოლოს ვიმუშავებ:

ქალთა უფლებების გაფართოების პრინციპებზე, თითოეული ქალისა და მამაკაცის სამართლიან დამოკიდებულებაზე სამსახურში, მათ ჯანმრთელობაზე და კეთილდღეობაზე; ქალთა განათლების, სწავლებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე, ეკონომიკის სფეროში ქალთა უფლებების გაფართოებაზე. აქტიურად ვემზადები შუალედური ანგარიშის მოსამზადებლად (მაისის ბოლოს), რომელსაც წარვუდგენ ჩვენი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ილია ჭიაურელს, რეგიონალურ და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და საქართველოს პარლამენტს. ამიტომ გენდერული მრჩევლობა არა მარტო თანამდებობა, არამედ ძალიან დიდი პასუხისმგებლობაცაა.

„საქართველო ზეციდან ლექსთა პანთეონია“

კონსტანტინე გამსახურდია

ზღვისფერი გაქვს თვალები და,
თავად ჰგავხარ ზღვას,
თუ არ შეგებრალები და მისთხოვდები სხვას,
მივატოვებ გაზაფხულზე თესვასა და მკას,
ცეცხლს გავატან შენს სამყოფელს,
შენს სიყვარულს – ქარს,
და მოგიკლავ, მოღალატევ, მაგ ნაფერებ ქმარს...
ზღვისფერი გაქვს თვალები და
თავად ჰგავხარ ზღვას.

ხალხური

***

ქალაუ, ისეთი თეთრი ხარ,
როგორც საყდარში კირიო,
სიზმარში მომაგონდები,
წამოვჯდები და ვტირიო,
შენი დანახვა მეწადა,
რად მომარიდე პირიო.
***
შენ რო გგონივართ, ვაჟაო,
არცა ეგეთა ქალნი ვართ,
კოშკნი ვართ კირით ნაგებნი,
აკლდამაისა კარნი ვართ,
მაღალ მთას გადამდინარნი
წვრილნი ლემადის ქარნი ვართ,
იწროს ხევს ჩამამდინარნი
ფონთ გაუვალნი წყალნი ვართ,
ცეცხლნი – მინდორში ნაგზებნი,
ვაჟავ,– შენს გულზე ალნი ვართ.

რიონ აბუსერიძე

***

დედაშენი რვა ნომერ „კენტს“ აბოლებს,
ჩემი ნენე მჭადზე ასვამს ჯვარებს,
დედაშენი შარვლით ტაძარს ამდურებს
ჩემი ნენე – ჩადრში მალავს ხატებს.

დედაშენი „მერსედესით“ დადის და
ჩემი ნენე – მიუყვება გუთანს,
დედაშენს „ჟა-დორეს“ სუნი ასდის და
ჩემი ნენე ბალახის სუნს სუნთქავს.

თქვენთან როცა რიჟრაჟია მაშინ,
ჩვენთან უკვე სულის ორთქლი დგანა,
ბილბორდები გიშრიალებთ ქარში,
ჩვენს სოფელში იბურძგნება ყანა.

დედაშენის ვარცხნილობა – „კარე“,
ჩემი ნენე ველზე იშლის დალალს,
ლეჩაქიდან მხოლოდ თვალებს აჩენს,
დედაშენი მხოლოდ თვალებს მალავს.

ჩემი ნენე – წარსულიდან ხვნეშის,
დედაშენი – ევროპულად ოხრავს,
თქვენთან ახლა მოდაშია სექსი,
ჩვენთან ბავშვი კვლავ წეროებს მოჰყავს.

დედაშენი ეშმაკის გზას იბევებს,
ჩემი ნენე სამოთხის გზას გაშლის,
დედაშენი თორმეტ აბორტს იკეთებს,
ჩვენთან უკვე თორმეტნი ვართ სახლში.

ვფიქრობ ასე, ვსლუკუნებ და მტკივა,
სურვილები განცდებს ვეღარ მართავს,
დედაშენი – ქართველ ქალის სახე???
ჩემს ნენეს კი ეძახიან თათარს!..

თამმას ჩოხელი,

თბილისის ჯვარის მამის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი

ნუ მომკლავ, დედა!

ნუ მომკლავ, დედა, მინდა ვიცოცხლო,
და ქართველობის ვწიო ჭაპანი,
გპირდები, ჩემით იამაყებენ,
ჩემთვის უცნობი მამა-პაპანი.
ნუ მომისწრაფებ სიცოცხლეს, დედა,
უტყვი ვედრებით მე ამას ვითხოვ,
მინდა გიყვარდე, შევიგრძნო მინდა,
შენი ალერსი და შენი სითბო.
იებს დაგიკრეფ აპრილის თვეში
სიფრიფანა და ლურჯთვალა იებს,
მინდა ვიცოცხლო, შენ კი ილოცე,
ნუ მაქცევ მიწად, ნუ გამაციებ,
თუ ნანობ, მინდა, რომ გაგიქარვო,
სულის ტკივილი, გულის დარდები,
უფალს ვთხოვ, დედა, შეგინდოს ცოდვა,
უმანკო ჩვილის არდაბადების.
მე გაზაფხულზე სიმღერად მოვალ,
შენი ცხოვრების ტკივილებს წავშლი,
იმ ქვეყნიდანაც დაგეხმარები,
ღვთით მოვლენილი, უმანკო ბავშვი.

ნატო პაპუაშვილი

ქალი

ზამთრის სუსხიან გზას ქალი მოჰყვებოდა,
თოვლის კრისტალებით თვალებდანამული;
მშვიდად მოდიოდა, კდემით, თან მოჰქონდა,
რაღაც იდუმალი სევდა, დაფარული.
სივრცეს გადახედა, თითქოს გამოერკვა,
ქალი მშვენიერი, ფიქრში ჩაძირული,
თვალს არ დაუჯერა,
როცა შეამჩნია
ახლოს ენძელების უცხო თაიგული.
გზად თოვლი დამდნარიყო,
ფურუსულების გუნდი ამდგარიყო,
ქალი კი გაზაფხულის
სურნელით გამთბარიყო!
თითქოს გაიოცა ბუნების სასწაული,
თოვლში გაყინული შეკრთა ქალის გული,
თვალს არ დაუჯერა, თმაში ჩაჰკინძვოდა
ყოჩივარდების უცხო თაიგული!
გზად თოვლი დამდნარიყო,
შროშანების გუნდი ამდგარიყო,
ქარი კი გაზაფხულის
სურნელით გამთბარიყო!
მიენდო მაჯისცემას,
გულსაც დაუჯერა,
სევდა გაფერმკრთალდა თვალებში ჩაკირული.
ქალს გზას უკვალავდა, სიყვარულს ჰპირდებოდა,
მარტი, ღიმილი და იების თაიგული!

შოთა ქავთარაძე

***

დღეს არაფერი არ შეიცვლება,
რადგან შენ ჩემი მეუღლე გქვიან...
მაგრამ მე ვფიქრობ –
ხომ შეიძლება,
მენახე, მაგრამ ძალიან გვიან.
ხომ შეიძლება, გეცხოვრა სადღაც,
შევხვედროდით და ჩაგევლო უბრად.
შეეწყობოდი სრულიად სხვა კაცს,
დაუმშვენებდი ოჯახს და სუფრას.
ეს გაზაფხული შენით მიცვნია,
გზადაგზა
მინდვრის
ყვავილებს ვითვლი...
და ახლა ფიქრიც არ შემიძლია,
რომ შენ შეგეძლო ცხოვრება სხვისთვის.

რომან ზუკაკიშვილი

ქალი

ქალო, გაზაფხულის მზე ხარ,
შენით ნათობს არე-მარე,
მოსდებიხარ ჩემს გზებს ცეცხლად
და ვეღარსად დაგემალე.
რაინდია სწორედ ისა,
ვინც ამ გზებს დღე შეალია,
სიო ვარდთა რტოებისა,
შენი სიზმრის შრიალია.
ისე გშვენის ფერთა ალი,
როგორც შვენის ნამი სისხამს,
შენი გულის ფეთქვა არის
გაზაფხულის ნაბიჯის ხმა.
ძარღვში სისხლი აზვირთდება
და გრძნობ, როგორ გიყვარს ყველა.
სიხარულის დარს გვპირდება
მაგ ღიმილის ცისარტყელა.
გადააქცევ ყველას მგოსნად,
გახლავს ხიბლი და ცდუნება,
შენ ხარ ჩვენთან იის მოსვლა
და მერცხლების დაბრუნებაც.
მოსული ხარ ედემიდან
სხვა სინაზით და სხვა ეშხით,
შენ ყოველდღე თენდები და
ხანძარივით ჩნდები ჩვენში.
ქალო, სიყვარულით გვფარავ,
ვიბრძვით, ვშრომობთ, ვწერთ თუ ვგალობთ,
და ქედს ვიხრით შენს წინ, მარად.
ამ სამყაროს დედოფალო!

ბიბი ელერდაშვილი

საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლეა. უყვარს საქართველოს ისტორია, წიგნების კითხვა, დიდი პაპის ისტორიკოს ალექსანდრე ელერდაშვილის ბიბლიოთეკასა და არქივებში საინტერესო მასალის მოძიება. თავისუფალ დროს კალამსაც ცდის – ხან ღამე წამოეწევა სათქმელი, ხან დღე. თავის ნაფიქრ-ნაზრევს ფურცლებზე გადმოიტანს და მსმენელს უზიარებს. გიგი ამ ლექსებით ულოცავს დედებს, ბებიებს, თანატოლებს გაზაფხულის შემობრძანებას.

***

დღე და ღამე ერთმანეთში ირეოდა,
ფიქრი ფიქრზე მიჯაჭვული იბნეოდა,
სილამაზე სიყვარულით იცვლებოდა
და გულები სიხარულით ივსებოდა.

სიამაყე თავმდაბლობით იცვლებოდა
და სიყვარულს ხატის წინაც უფიცებდა.
დღე და ღამე ერთმანეთში ირეოდა
ფიქრები კი გულთან ახლოს მიდიოდა.

ბოდიშს მოგიხდი

ბოდიშს მოგიხდი თუ რამ შეგცოდე?!
თუ გაწყენინე რამე ნათქვამით.
მე შენ გეძახი და გეუბნები,
მომენატრები შენი ღიმილით.

ბოდიშს მოგიხდი თუ გაწყენინე,
თუ ჩავიდინე რამე სატკენი.
ვერ დაგანახე ჩემი გრძნობები
და გავაწბილე შენი ფიქრები.

მე ისევ შენს გულს ვეტრფიალები,
იქნებ ვიპოვო ადგილი ჩემთვის,
ველაპარაკო შენს წმინდა თვალებს,
იქნებ ავუხსნა რაშია საქმე?!

***

ამ შავ თვალებს
გრძნობით სავსეს
მე შევყურებ, როგორც მთვარეს,
რაღაც უცხო გრძნობა მახრჩობს.
მაგრამ რა ვქნა, ვერას ვამბობ,
იქნებ რამე გამოვიდეს,
ცდამ ბედსაც კი რაღაც არგოს.
იქნებ რაღაც იდუმალი
შენც კი გტანჯავს, მაგრამ რას შობს?!
იქნებ ვცადოთ, რამე სათნო,
მე ხომ რაღაც პატარას გთხოვ?!

„საქართველო ზეციდან ლექსთა პანთეონია“

ნინო ბუზარიაშვილი – *დაბადებულ 2002 წლის 5 იანვარს. ვსწავლობ საგარეჯოს №3 საჯარო სკოლის VI კლასში. დავდივარ ხატვის, ჭადრაკის, სიმღერის წრეზე. ვსწავლობ კლასიკურ მუსიკას. მიყვარს ქართული ფოლკლორი, ვუკრავ გიტარაზე, ფანდურზე, ფორტეპიანოზე და ტამტამზე. ვწერ ლექსებს. კითხულობ მხატვრულ ლიტერატურას. მომწონს შტეფან ცვაიგი, პაულო კოელიო, ირაკლი ჩარკვიანი, ნიკო გომელაური და დათო ტურაშვილი. დაწერილი მაქვს” ჯინსების თაობა” -ზე ლექსი, რომელსაც კონკურსგარეშე გიგზავნით, ხოლო ლექსი “ღამე” საკონკურსოა. მაქვს იმედი, რომ ჩემი ლექსებიც გამოიფინება.*

ღამე

ღამე ვსეირნობ ქუჩაბანდებთან
და მომყვებიან ჩემი ჩრდილები,
მარტო მივდივარ, სხვა კი არა სჩანს,
ტკივილით მოსწყდა ხეებს ფოთლები.

მივდივარ... ვნატრობ...
მივდივარ... ვფიქრობ...
რაზე?
ვინ იცის?!
იქნებ ფოთლებზეც...

უჩუმარ ფეხით მივყვები ღამეს
და ის მიმათრევს ქუჩის ბოლომდე...
და ჩემი ფიქრი დროსაც კი გასცდა,
ბნელეთს დავაღწევ მე თავს როგორმე.

***

თქვენ არ ხართ უფალი...
უფალმა იცის, როცა მე მელოდება
შორეული გზა ცისკენ...
მე უფალზე ვარ შეყვარებული.
გმადლობთ უფალო, რომ ხარ ყველასკენ
და დაგვიფარე, მოგვიტევე ყველა ცოდვები,
როცა მოგინდეს წაგვართვი სული ადამიანის.

***

ვუძღვნი “ჯინსების თაობას” (გეგა კობახიძეს და თინა ფეტვიაშვილს)

გავფრინდეთ ცისკენ,
ვნახოთ ცის სამყარო,
წავიდეთ მისკენ -
ბოროტი სულები გავყაროთ.

უსასრულოდ ვნახოთ
ცაზე ვარსკვლავები...
უფალი გველოდება ჩვენ ორს...
გელოდები...

***

სიზმარი ვნახე და იცით რა?
თოვლი მოდიოდა...
ხეებიც ადარ იყო,
ყველაფერი გამქრალიყო...
გზაზე შემორჩენილი
ქალი იყო.

***

როცა ცხოვრებას ერქვა ბავშობა
როცა ვიღაცა ასე მათბობდა
როცა სიცოცხლე დირდა დათრობად
და ცხოვრებაც კი ასე მაწყობდა
როცა წვიმდა და
როცა მათოვდა
როცა ცა იყო მოღრუბლულ ნისლში
ჩემი გული კი მაშინ გაჩერდა
როცა ცხოვრება იყო დათმობად
როცა დრო იყო ფიქრად წასული
როცა გული კი შენით მიცემდა
და ეს წელიც კი ჩვენი ერთგული.

როცა დრო იყო შემოდგომისა
როცა სიცივე ადარ მაკრთობდა
როცა მინდოდა თბილი ბუხარი
და ცხოვრებაც კი ასე მაწყობდა.

***

ყველა დროც გავიდა
ოღონდ ჩვენი არა
უსასრულოდ გაიწელა
ფიქრი წარა-მარა.
ადარ მინდა მოკლე გზები
და ჩრდილები ჩემი
მოკლედ გეტყვით ადარ მინდა
უსასრულოდ გავსებული გემი.

***

მინდა გავრიყო ფოთლები
ზღვას გავატანო
და შემოდგომის ფერებით
მთა მოვიარო
მერე მინდა, რომ ფოთლები მოვაგროვო და თანაც ვატარო
და მოვიარო ფოთლების გზები
და ზღვას გავატანო
და ბოლოს მინდა
რადაც ვთქვა:
დრო უსასრულოდ დიდია
და ფოთლებიც კი მღერიან

***

აი იმ კაცს გაუმარჯოს
საქართველოს რომ ადიდებს
აი, იმ კაცს გაუმარჯოს
მიწაში რომ ვახს ჩააგდებს.
მერე ღვინოს დაწურავს და
დალოცავს საქართველოს
მერე ღმერთსაც ადიდებს და
გაუმარჯოს საქართველოს!

***

სიჩუმე ოთახში
ღუმელი ჩამქრალი
სიცივე ტანში მცრის
მიშველის უფალი
საათი ორსა მკის
ექოა ოთახში,
იმედი დავკარგე
მარტო ვარ მთელ სახლში

ეკა (ეთერი) ოზგელდოვი

დაიბადა ყანდაურაში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. შემდეგ იყო სტუდენტობის ლამაზი წლები თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ინსტიტუტში. ჰყავს 12 წლის გიგი. ზოგჯერ მოცალეობისას მუზა ეწვევა, ნაფიქრალს ქაღალდზე გადაიტანს და თავისთვის, სხვათაგან თვალს მოაფარებს. გამოქვეყნება შეეთავაზეთ და მორცხვად, მორიდებულად მოგვიტანა თავისი „შვილობილები“. მოდით, ერთად წავიკითხოთ, ჩვენც გავიხსენოთ ტკბილი, ალერსიანი, მზრუნველი ბებია, ორიოდე ცრემლი გამოვიმეტოთ „უცბათ ჩარბენილი“ ბავშვობის გახსენებისას.

***

ვარდი წითელი მეგონა,
ვაი, რომ უცხო ფერია,
კაცი ერთფერი მეგონა,
ჰაი, ჰაი, რომ ჭრელია.
სიცოცხლე ტკბილი მეგონა,
მწარე ყოფილა დღენია,
იმქვეყნად წასვლა მომინდა,
თურმე ჯერ სხვისი ჯერია.
ვინაც მოყვარედ მივიღე –
ჩემი მოსისხლე მტერია.
ნუთუ სულ წახდა ქვეყანა?!
ვერა, ვერ დამიჯერია,
მუდამ უფლისა გვჯეროდეს,
კაცის რა დასაჯერია?!

ეთერ გოგოლაძე-გულისაშვილი

ეგონა ვერასოდეს შეელეოდა თავის ულამაზეს სოფელს, ვერსად შეეჩვეოდა ცხოვრებას, რადგან უზომოდ უყვარდა და დღესაც იმ სიყვარულით უყვარს იმერეთის კოპაჭია, მთის ფერდობზე ლამაზად წამოსკუპებული სოფელი თავისი მშრომელი და სტუმართმოყვარე ადამიანებით. იქ ახლა მამა ცხოვრობს მხოლოდ – გოგოლაძეების ცხრაშვილიანი ოჯახის დედაბოძი ცხრა შვილის, მათი ოჯახების მონატრებით ელოდება დროებით სიჩუმეში გალურსულ სახლ-კართან ერთად, ეთერსაც სხვანაირი მონატრებით მიეჩქარება ხოლმე თავის სამშობლოში – იცის, იქ ერთად მოიყრიან თავს, ააშრიამულებენ იქურობას, ერთმანეთს მოეფერებიან, მოესიყვარულებიან, მისი შვილები და შვილიშვილები იმ ლამაზ ადგილებს მიირბენ-მოირბენენ, სადაც თავად გაატარა ბავშვობის ლამაზი წლები.

ეთერ გოგოლაძე ხარაგაულის რაიონის სოფელ ვერტყვიჭალაში დაიბადა და გაიზარდა. შემდეგ თბილისში სწავლობდა. თავისი ბედი საბარეჯოელ ახალგაზრდას დაუკავშირა და მიხვდა, რომ კახეთი იქნებოდა მისი და მისი ოჯახის საბოლოო ნავსაყუდელი – გულით შეიყვარა აქაურობა და აქაურები, შეისისხლხორცა აქაური ტრადიციებიც, მაგრამ იმერულ თავაზიანობას მაინც ვერაფერს მოუხერხებს – მოკრძალებულს და მორიდებულს.

ერთმანეთი ეკლესიაში გავიცანით. ნელ-ნელა „გავათამამე“ და ერთ დღესაც გამიმხილა – ლექსებს ვწერო. ძლივს გავაბედინე, სხვებსაც წაეკითხა ეს ლექსები. მკითხველისთვის მიგვინდვია მათი შეფასება.

– „პირველი ლექსი 12 წლისამ დავწერე. მეგობრებთან საუბარი რითმულად გამომდიოდა, რის შემდეგაც გადავწყვიტე რითმები ფურცელზე ლექსად დამეწერა. ვწერდი დედაზე, ბუნებაზე, ბავშვებზე, მიჯნურობაზე. ვწერ აწმყოზე და მომავალზე, სამშობლოზე, ყველაზე, ყველაფერზე. ჩემი სუსტი წერტილი ბავშვები და სიყვარულია, ყველა მიყვარს და არავინ მძულს, თუმცა, ამის გამოხატვა არ შემიძლია, ამიტომ, ჩემი ემოციები ფურცელზე გადამაქვს.

„რაც ენამ ვერ თქვა, იგი გულმა თქვა,
წარმოუთქმელი მუზამ წარმოთქვა,
ბგერები სიტყვის ასომ შეცვალა,
და მთხოვა იგი ლექსად მეწამა“.

ბედნიერი ვარ, თუ ვინმეს ცოტათი მაინც ვეხმარები. მწყინს თუ საპირისპიროდ მპასუხობენ. არ ვიცი, რას იტყვის ხალხი და როგორ მიმიღებს საზოგადოება.

„ლექსები, ჩემი გულის ფეთქვაა
და პოეზია – სულის ძახილი,
ის სიყვარულის ამოფრქვევაა
და აღტაცებით შემოძახილი!..“

ვარ მართლმადიდებელი ქრისტიანი, მჯავს მოძღვარი და ვცდილობ ვიცხოვრო უფლის მცნებებით.

„უბრალო ვარ, უბრალოდ ვწერ,
თითქმის ყველას გასაგებად,
ზეციური მადლი მინდა,
ყველა პწკარის დასაწერად.
სწორედ ის ვარ, რასაც მხედავთ,
ფარული არაფერია,
ჭეშმარიტება ყოველთვის
ადვილი დასაწერია.
სითბო უნდა გულში ჩასწვდეს,
არა მაღალფარდოვნებით,
მოვეფერო მინდა ყველას
პატარების აზროვნებით.
მკაცრი ვარ და ლმობიერი,
ბავშვებთან ვარ ბედნიერი,
მათთვის მინდა იყოს მუდამ
ქვეყნად მრავალჟამიერი.

გაზაფხული

გაზაფხული მოდის, დედებს
მოგილოცავთ
თოვლის ფანტელებით,
თეთრად დაგილოცავთ,
თქვენს ჭადარას ვფიცავ,
ბუნება თქვენ გიცავთ.
უცნაური დრო გვაქვს, თოვლიც
გვაქვს და წვიმაც,
დრო ბრუნავს და იცვლის
ფერებს გაზაფხული,
ქალისავით ჭრელი, არავის აქვს გული.
თოვლის საფარს დაუფარავს
მთა და ველი,
უცნაურად მოსრიალდა წელი გველის.
ყველას გულით მოგილოცავთ
სამ მარტს – დედის,
რვა მარტს – ქალის, ბედნიერი
უფრო მეტის.
გაზაფხულზე ყველა ქალს
და ყველა დედას
ბროლის ყელზე მოეხვევა
სიყვარული, როგორ ელავს...
საფარიდან გამოვალ და...
მეც ხომ მხედავს.
სიხარულით მზეც ამოვა, თოვლი დნება
და რამდენჯერ გაზაფხული ისევ მოვა,
თოვლის ფიფქი, ისევ ისე,
როგორც თოვდა...
ქალის გული სიხარულით,
როგორ თრთოდა,
ჰოდა, დიდი სიყვარული მას ათრობდა.

ყველას თავს გვევლება

ის მაშინ მოდის, როცა არ ველით,
მოულოდნელად – წამით,
გვეალერსება თოთო ბავშვივით,
ჩვენ კი არ გვესმის ჩქამიც.
უფალს უყვარს სიჩუმე და
წყნარად საქმის გაკეთება,
არასოდეს მოინდომო,
შენი სწრაფი აღზევება.
ნაპერწკალი – აინთება,
ცეცხლის ალი მოგვედება,
როცა გული გაიხსნება,
სიყვარულიც იღვენთება.
თანდათან, დღითი-დღე, ნელ-ნელა
ის ხომ ყველას თავს გვევლება,
ტაატით მივყვებით დროთა ცვლას,
სიყვარულს ვუმტკიცებთ მხოლოდ მას.

მონატრება

ვუძღვნი ჩემს ბებიას
ქეთევან საგინაშვილს

მე მენატრება ბავშვობის წლები,
რომ ბრუნდებოდეს კიდეც დავიცდი,
თურმე რა კარგი ყოფილა ის დრო,
ახლა ვხვდები და უფრო განვიცდი.
მე მენატრება უდარდელი დრო,
სხვაგვარი ჰქონდა ეშხი ყველაფერს,
ვარდის სურნელიც სხვა იყო მაშინ,
ვერ დავიბრუნებთ თურმე ვერაფერს.
სულ სხვა სურნელი ჰქონდა მიწასაც,
თუნდაც ვცადოთ და კიდეც ვადაროთ,
სკოლა, მერხი და ღუმელი ძველი,
არ ვიცი, არა, რას შევადარო.
მე მენატრება ჩემი სოფელი,
ჩემი უბანი, „ქუჩა ვარდების“,
ჩემი ბებია ტკბილზე უტკბესი,
გამქარვებელი ჩემი დარდების.
იმისი სიტყვა, ნუგეში, საქმე,
დარიგება და კეთილი თვალი,
ვისთვის მოხუცი, ნაოჭიანი,
ჩემთვის – სპეტაკი, უკვდავი ქალი.
თურმე რა ძლიერ მომნატრებია,
გულზე დარდი და ბოღმა მაწვება,
დარჩენილი დღის ნახევარს დავთმობ.
ოღონდ ერთი დღე ის დრო მაჩვენა.

***

„ვფიქრობ, სულ ვფიქრობ, მაგრამ ვერ ვხვდები,
რად ხარ ასეთი ტკბილი, ნეტარი,
ალბათ იმიტომ ჩემო სამშობლო,
შენი ჰაერით ვსუნთქავთ ყველანი.

მე მიყვარს შენი მიწის სურნელი,
მე მიყვარს შენი წვიმის სურნელი,
მე მიყვარს შენი თოვლი სპეტაკი,
მე მიყვარს შენი წყარო ულევი.

ვფიქრობ, ვფიქრობ და ვერ გამიგია,
მაინც რად მიყვარს ეს ჩემი მხარე,
ალბათ იმიტომ ჩემო სამშობლო,
ჩემი ბადალი ვერსად ვერ ვნახე.

მე მიყვარს შენი დაღლილი მიწა,
მე მიყვარს შენი ცისარტყელები,
მე უშენობით ვერსად ვერ გავძლებ,
შორიდანაც კი მომეფერები.

მიყვარხარ, კიდევ მეტყვი ათასჯერ,
მინდა მოგხვიო ხელი, ვერ გწვდები,
ჩაგიკრა გულში, არვის დავუთმო,
შენი მთები და შენი ველები.

აქ დავიბადე, აქვე მოვკვდები,
შენზე ტკბილს ვერვინ ვერსად მაჩვენებს,
მე მიყვარს როცა შენი ზეციდან,
წმინდა, შხაპუნა, წვიმა მასველებს.

დედა – ცოცხალი და ცოცხალი მოგონება

რეზო ინანიშვილი

დედა

– დედაზე მე ისეთი რა უნდა ვთქვა, მაგრამ ჩემი მოსაყოლი მაინც უნდა მოვყვე.

შარშან, გვიან შემოდგომაზე, ნოემბერში, ჩემს სოფელში ჩავედი. დამხვდა საცოდავი დედაჩემი – თითებდამჭკნარი, მაჯებდაწვრილებული. მაინც მიღიმოდა და მეუბნებოდა,– ხან ვწევარ, შვილო, ხან აი, ასე დავრაცრაცებო.

ვიყავი ერთ ღამეს და ერთ დღეს – თითქოს ეზო-ყურის მოწესრიგებით გართული, სინამდვილეში რაღაც ცოდვით შეწუხებული. მეორე საღამოს, უკვე შებინდებულზე, წამოვედი.

ჩვენიდან რკინიგზის სადგურამდე ოთხ კილომეტრამდე გზა არის, სულ თავქვეთავქვე, აქედან კიდევ – აღმართი. გამიმართა დედაჩემმა ძველებური ფარანი, ამინთო, – სადგურში რომ ჩახვალ, მორიგესთან დატოვე და ვინმეს ამოვატანინებ მერეო. დავიწყე მე სიცილი,– რა ფარანი მინდა, დედა, ორმოცი წელიწადია ამ გზაზე დავდივარ, სულ ქვა-ქვა ვიცი – მეთქი ყველაფერი. – არაო, შვილოო, ახლა სულ შეცვლილია, სად რას აკეთებენ, სად რასო, თან მოლინჭყულია, ფეხი ცურავსო. ბევრი მეხვეწა, მაგრამ არ წამოვიღე ის ფარანი. გამომაცილა კი კარგა მანძილზე, სანამ დიდი დაღმართი დაიწყებოდა. მომყვებოდა იმ წკვარამში, მინათებდა გზას და თან სულ მარიგებდა დედურად. დიდ დაღმართთან თვითონვე შეჩერდა, ასწია ფარანი ცოტაზე, – წაიღე, შვილოო, – შემეხვეწა ერთხელაც. მე გადავკოცნე ღიმილით – წადი – მეთქი ახლა! – მივაბრუნე, თითქოს გაბრუნდა, წავიდა კიდეც, მოვიხედე და დგას ისევ, მაღლა უჭირავს ფარანი, მეორე ხელიც შეუშველებია. – წადი-მეთქი, წადი! გაბრუნდა, წავიდა. მე თავქვე დავეშვი. ზურგჩანთა მკიდია, თითქმის მივრბივარ, მივიხედავ უკან და, რამდენსაც მივიხედავ, იმ წკვარამში ის ფარნის შუქი ისევ ერთ ადგილას დგას, ალბათ, მეჩვენება-მეთქი, გავჩერდები, ვაკვირდები, შუქი მაინც არ იძვრის.

– დე-დაა! დე-დაა!

არავითარი ჩქამი! ნიავი სახეში მცემს, ჩემი ხმა იქამდე ვერ ააღწევს. ისე ჩავედი სადგურში, ისე ავედი მატარებელში, ის შუქი მხოლოდ პატარავდებოდა და არ იძვროდა. ვუყურებდი ვაგონის ფანჯრიდანაც და ვწყრებოდი დედების სიჯიუტეზე.

ის კი იყო და ის – ცოცხალი აღარ მინახავს დედაჩემი, დეკემბრის თექვსმეტში, ღამით, თერთმეტ საათზე, უწვალებლივ დაელია სული და დამრჩა იმ ფარნის შუქი სამუდამო დარდად.

რატომ იდგა იქ, იმ აღმართის თავზე, სიბნელეში და სიცივეში იმდენ ხანს? ნუთუ მართლა იმას ფიქრობდა, რომ ცოტათი მაინც მინათებდა ფარნით გზას?! ნუთუ ეგონა, ცუდი, ცუდი რომ რამე მომწეოდა, უთუოდ მისწვდებოდა ქვემოდან ხმა?! თუ სულაც ცუდად გახდა, ჩაჯდა, ვეღარ წამოდგა და იყო ასე,– ფარანზე დამხობილი?! კიდევ უარესი – სამუდამოდ ხომ არ მეთხოვებოდა იმ ფარნით?!

დავუნთებ ხოლმე სანთელს, დავიჩოქებ, მაგრამ ვერაფერს ვშველი ჩემს დარდს.

დავით ტიგინაშვილი

დედა

მოფერება მინდა! დედილო... დედიკო... დი... დე... დუ... დდდდ!!!.. დედიკო დედა. დეეე... და�ა!!!.. ო, რა წამება გადაგხდებოდა ჩემს გაჩენაში და გაზრდაში დედა!.. გტკიოდი, დედა... როგორ გამიძელი, ამ გიჟს, როგორ გამზარდე, დედა!!!.. ვანგრევდი მაშინვე ყველაფერს, დედა!.. გმადლობთ გაჩენისათვის! გმადლობთ გაზრდისათვის, დედა!!!.. გმადლობთ ყველაფრისათვის! ხომ გამაჩინე, გამომიყვანე ამ ქვეყანაზე, ეხლა სიკვდილი მინდა, დედა!.. დედააა!!! უშენოდ ცხოვრება გაუსაძლისია... საგიჟეთია, დედა!.. ბწკარებზეც ხომ მეტყობა... უკვე შეშლილი ვარ, დედა!..

შენ, რომ თონეს გაახურებდი სოფლის გოგო-ბიჭებს დღესასწაული ჰქონდათ დედა!.. იცოდნენ, ელენე დეიდა, როგორც კი ბოლო შოთებს ამოყრის თონიდან, სუფრაც გაიშლებაო... იყო მთელი ამბავი გვიანობამდე. აუ, რა შოთებს აცხობდი, რა ყველი ამოგყავდა, დედა აუ, რა წნილებს აკეთებდი, როგორ მენატრება ეს ყველაფერი, დედა!.. შენი წნილის ქილიდან ამოღებული სურნელოვანი ხელები მენატრება დედა! მაჭარივით შუშხუნა პამიდვრის წნილები – სახელდახელოდ – უცბად, რომ მოგქონდა თასით...

შენი შემოდგომის ბარაქით გაოფლილი... მიწით მოთხვრილი და დაღლილი ხელები მენატრება, დედა!.. შენი თონის პირზე ჰაიჰარად გაშლილი სუფრა მენატრება, დედა!.. შენი ოქროს ხელებით მორთმეული, ძველი რქაწითელი მენატრება, დედა... შენეული ძველი ხელადით და ძველი ფიალებით, დედა!.. ჰაუ! რა დრო იყო, დედა... ჩემს გადაშლილ გარმონზე. სულ ცეკვა-ცეკვით აწყობდი შემოდგომის ღვთიურ სუფრას, დედა!.. შენ გენაცვალე, დედა!.. შენ გულს ვენაცვალე, დედა!.. ჩემო მადლიანო ქალბატონო!.. მერე როგორ გიყვარდა ჩემი გარმონის გადაშლა და თუშური მელოდიები, დედა!.. შიგ გულში მივლის, შვილო რას უშვრები მაგ გარმონს, როგორ გულსაკლავად აკვნესებო. აშუდ-პოეტს მეძახდი... შვილო, უკრავ, მღერი, კაი ლექსებს აჭექებ და აშული ხარ, აბა ვინ ხარო!.. მერე როგორ ამაყობდი გოგლას ტორდარტყმული რომ ვიყავი!.. ჰაი, დედასა!

მაღლიერების მისამართები

გულისხმიერი ექიმი

დედა მეუღლე, დედა აღმზრდელი, დედა მასწავლებელი, დედა ექიმი, მრჩეველი და ფასდაუდებელი, მთელი ჩვენი ცხოვრების სილამაზე და სიდიადე. სახელი და დიდება მათ სილამაზეს, მათ სინაზეს, მათ შრომას. დღეს უსასრულოდ შეიძლება დედაზე ლაპარაკი, მათი ქება და ხოტბა. დედაა სამყაროს სიცოცხლის წყარო და ამ სიტყვის წარმოთქმით იწყებს ყოველი ადამიანი თავის შეგნებულ არსებობას. ქალი ჩვენს შემეცნებაში პირველ რიგში დედაა და არ არსებობს ამ სიტყვაზე სანუკვარი სიტყვა ჩვენი პლანეტის ხალხის არც ერთ ენაზე.

მე წილად მხვდა დიდი პატივი, ვიცნობდე სახელოვან ქართველ დედას, ექიმ სტომატოლოგს ქალბატონ მაყვალა ოქრომჭედლიშვილ-გილაშვილს. ღვთის მადლით საგარეჯოს რაიონს მრავალი ჰყავს ნიჭიერი, გამორჩეული მედიცინის მუშაკები, რომლებიც თავდაუზოგავად ემსახურებიან თავიანთ პროფესიას. ასეთთა შორისაა ქ-ნი მაყვალა. მის კვალს გაჰყვა ქალიშვილი ნინოც, რომელიც თავად ორი გოგონას – თამარისა და ლიზის დედაა. ახალგაზრდა სპეციალისტი კიდევ უფრო დაიხვეწა პროფესიონალი დედის გვერდით და პაციენტების დიდი ნდობა და სიყვარულიც დაიმსახურა.

ქ-ნი მაყვალა ყოველთვის ჩუმად, უხმაუროდ ემსახურება პაციენტებს და ამ სიჩუმეში ხმაურობს მისი აღმატებულება. მართლაც ჭეშმარიტი სიკეთე ის სიკეთეა, რომელიც ჩუმად, უხმაუროდ კეთდება. სიკეთე კი კვლავ სიყვარულად და პატივისცემად გიბრუნდებათ, ჩემო ძვირფასებო! ამ სიკეთით, ამ სიყვარულით ხვდებით ყოველ გაზაფხულს, იების მოსვლას. მშვიდობის, სიკეთისა და სიხარულის მომტანი ყოფილიყოს ეს გაზაფხული თქვენთვის.

გაუცუნარი ფერებით

„დედამიწა და ქალი სიცოცხლის საწყისია, ოჯახი ქალის სიყვარულით არის შეკრული, ველ-მინდორს ყვავილი ჰქარგავს, ოჯახს კარგი დიასახლისი, ნამუსიანად მქცეველი ქალი არის მარგალიტი, – ძვირფასი თვალი , ნეტავ იმ ერს, რომელსაც კარგი ქალები ჰყავს. ქალი ჩვენს შემეცნებაში პირველ რიგში დედაა, დედა! ყოვლად ტრივიალური ჭეშმარიტება. ამ ქვეყანაზე თუკი რამ მშვენიერი, დიადი, ფაქიზი და ამაღლებული შექმნილა, ყველაფერი ქალების შთაგონებული, მათი სულის სიდიადით და მშვენიერებით არის ნაკარნახევი. ადამიანები მუდამ იქნებიან ისეთნი, როგორებადაც მათ ჰქმნიან ქალები. ამიტომ, თუ თქვენ გსურთ შექმნათ დიადი და სათნო ადამიანები, შთააგონეთ ქალებს, თუ რა არის სიდიადე და სათნოება“.

უსასრულოდ შეიძლება ქალებზე ლაპარაკი, მათი ქება და ხოტბა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“. უკვე საკმაო წლებია, მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №1-ის პედაგოგი ქ-ნი თამარ გოცირიძე, ქალი ბურჯი, როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებაში. დიახაც რომ ცოდნა-განათლება, თავმდაბლობა, სანდომიანობა, თავდაჭერილობა, რაც კი მასწავლებლის იერ-სახეში იგულისხმება, ეს ყველაფერი შერწყმულია ქ-ნ თამარის სულიერ სამყაროში. მე პირადად მრავალი წელი მაკავშირებს მასთან – მუდამ ერთგულსა და თავისი საქმის უღალატო შემსრულებელთან. რაიონის ხელმძღვანელობას მუდამ ეიმედებოდა ამ უღალატო პიროვნებისა, რომელსაც ყველაფერზე შესტკივა გული, რაც მომავალი თაობის აღზრდას ეხება. მუდამ „ხმალამოღებული“ იბრძოდა სკოლამდელთა ინტერესების დასაცავად და ლამაზად განვლო გზა სკოლამდელებისა, იგი არასდროს ღალატობდა თავის მისიას – აღეზარდა სრულყოფილი მომავალი თაობა ეროვნული, მართლმადიდებლური პრინციპების დაცვით. საკუთარი შვილის ლამაზად აღზრდაზე გაცილებით რთულია ათასი ბავშვის მშობლობა, მე-ზე, პიროვნულზე ამაღლება და თაობათა აღზრდისათვის ჩუმად, უპრეტენზიოდ წვა. სწორედ უღალატო მუშაკთა უჩინარმა ღვაწლმა გადაარჩინა ქართული ფენომენი, ქართული ცა და მიწა, სიტყვა და საქმე, „დაისი“ და „მრავალჟამიერი“. ქართველი ქალი არასოდეს ყოფილა ქართული ყოფისთვის უცხო. ქალბატონი

... რა სასწაული წყურვილით მომნატრებიხარ, დედა!

სულ იმას ვცდილობ, რით გაგახარო დედა!..

ახალი წიგნი გამოვიდა დედა, „გულიდან ამონამღერი“. ამბობენ კარგი წიგნიაო დედა, რა ვიცი, ეგ ღმერთმა იცის... და ყველაზე კარგი შემფასებელი დრო და მომავალია დედა!..

პირველი ეგზემპლარი სასაფლაოზე, შენთან მომაქვს დედა... ჩემთვის დღეს მთავარი შემფასებელი შენ ხარ, დედა...

საით დაფრინავთ ჩემო ლექსებო
თხილიანებში, თუ გრილ-მზიანეთ დღეთა
პირველ წიგნსა და ლამაზ ყვავილებს
პირველს შენ გჩუქნი, ჩემო ძვირფასო
დედა!..

და ჩვენი ივრისპირა ვენახის, ძველებური რქაწითელის ღვთიური ცრემლებით მინდა პირველმა ჩვენ აღვნიშნოთ ამ წიგნის დაბადება, დედა!..

როგორ მენატები დედა, იქნებ ამ ღვთიურ სამოთხეში ღმერთმა კიდევ მასმინოს შენი ღვთიური მოფერება...

დედა გენაცვალოს შვილო! დედა მოგიკვდეს შვილო.

ვიცი, გრძნობ და ხედავ ყველაფერს დედა... ვიცი, ძალიან გიხარია დედა... ჩვენი შეხვედრის შემდეგ ამ წიგნს გულზე გადაგიშლი და ჩემს მოსვლამდე შენს სასაფლაოზე დავტოვებ საჩუქრად დედა, წამოვა ერთ მშვენიერ დღეს ჟუჟუნა წვიმა, თოვლის ფანტელები, აშარი ქარი... ველური თქეშები, ნიაღვრები და ბუნება თავისი საიდუმლო ძლიერებით თვითეულ ლექსს ბოლო ბწკარამდე გულზე ჩამოგაღვრის და ჩამოგაფერფლებს დედა... ხომ მეუბნებოდი – შვილო, ჩემი მიწისძვრა ხარ, შენს ლექსებს საფლავშიც გავიგებ და გიჟივით წამოვვარდებიო... ხოდა, ახალ ლექსებს გიკითხავ, დედა... ხომ გესმის დედა!.. წამოვარდი... გაცოცხლდი დედააა!.. ღმერთო დიდებულო, დაილოცა შენი განგება... გამიცოცხლე დედა!... – გთხოვ, გემუდარები! რა აზრი აქვს ჩემს სახლში დაბრუნებას... არადა იქაც, როგორ მელოდებიან, დედა!.. მარტოობა და სიცივეა უშენოდ ყველგან, დედა!.. გლობალური დათბობა დაიწყო... იწვის დედამიწაზე ყველაფერი, დედა... მაგრამ შენნაირ – სითბოს ვერსად ვერა ვგრძნობ, დედა!.. მე უშენოდ ყველგან მცივა, დედა!.. მინდა ჩემი ლექსების ბუნების სიგრილე შენს საუფლოშიც შემოვიტანო, დედა!..

ღმერთო მადალო, მომეცი ძალა დედის სამოთხე ლექსებით გავაგრილო, ოღონდაც ერთხელ მასმინე კიდევ ვაიმე, ... დედა – გენაცვალოს შვილო!..

რა დამანგრეველმა, სასწაულმა ძალამ ჩაგვადუღაბა ერთმანეთში, დედა!.. ეს რა სასწაული კავშირი ყოფილა დედა-შვილობას შორის დედა!.. უშენოდ ყველაფერი ცარიელია!.. შენთან მინდა დედა... შენი

დავით ტიგინაშვილი

დედამიწამ რა სთქვა?!

მე დავიღალე ამდენი ომით. მინდა ყველა ქვეყნის მაცხოვრებლები კარგად, და-ძმურად იყვნენ. მინდა აღარსად იყოს ომი. არ მინდა თითოეულ ქვეყანას მტერი ჰყავდეს. მე სულ ყველა ქვეყანა მიყვარს. მე ვარ ადამიანის დედაც და მამაც. არავინ არ ფიქრობს იმაზე, თუ მე რას ვფიქრობ, როგორ ვწუხვარ.

მე არ ვსაუბრობ მხოლოდ იმაზე, სხვა პრობლემებზეც. ერთმანეთს ჭამენ ქვეყნის მაცხოვრებლები. მე აღარ მინდა ასე იყოს. მინდა მშვიდად, წყნარად საუბარი.

ზოგი ბოროტია და უნდა თავისი ქვეყანა ლამაზი და გამორჩეული იყოს. არადა ამას ვერ ფიქრობენ, რომ თუ ჭირშიც და ლხინშიც ერთად იქნებიან და ერთმანეთს არ უღალატებენ, მათი ქვეყანა ლამაზიც და გამორჩეულიც იქნება. ამას ვერავინ ფიქრობს, არავის აქვს ასეთი ტვინი, ვერავინ ვერ აზროვნებს. როგორ არ მინდა ასე მტრულად იყვნენ. მეტირება ამის გამო.

მე ხალხს მოვუწოდებ, რომ მშვიდად იყვნენ. და აღარ დაობლდნენ ბავშვები, აღარ ტიროდნენ დედები. ერთი ადამიანის გამო შეიძლება ბევრი დაზარალდეს. მე სულყველას ვეტყვი, რომ ამ სიბოროტით ვერაფერს მოიპოვებენ. მე დავამთავრე. მთავარია იგრძნონ, თუ მე როგორ ვწუხვარ. გთხოვთ იგრძენით ჩემი მწუხარება! ძალიან გთხოვთ!..

დედამიწა დაღონდა,
დავიღალე ძალიან,
მე სიმშვიდე მჭირდება
და მშვიდობა ხალხისა.

ნინო ქვლივიძე,
კაკაბეთის საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლე.

დედამიწამ რა სთქვა?!

თამარ გოცირიძე წლების მანძილზე გაუხუნარი ღიმილით და სიყვარულით, პირთამდე სავსე გულით ემსახურება პატარებს. როცა მას ესაუბრები, საოცარი სიმშვიდე გეუფლება, ამიტომ მის გვერდით აღარ გვიკვირს – რატომ უყვართ გულით პატარებს. გული კი, მოგეხსენებათ, სიყვარულის საუფლოა!

ღმერთო, რამხელა გული უნდა ჰქონდეს ამ ერთი შეხედვით კაფანდარა ქალბატონს, რომ ამდენ სიყვარულს აფრქვევდეს და გასცემდეს უხვად, მომავალი თაობისა და გარშემომყოფთათვის. გაუხუნარი ფერები და დღეგრძელობა მის სილამაზეს, სინაზეს, შრომას და შემოქმედებას. გარეგნული სილამაზე მაშინ უფრო ძვირფასია, როდესაც შინაგან სილამაზეს ეფარდება. მხოლოდ ამ სილამაზეს აქვს უფლება იწოდებოდეს სილამაზედ, რომელიც შეხამებულია თავმდაბლობასთან. მოგეფერები ჩემო მეგობარო ტერენტი გრანელის ლექსით:

ჩემთვის წამებას უდრის
ხმა შორეული ქალის,
იყოს ამინდი ცუდი
და მაწუხებდეს ქარი.

ქალი მშვენებას უდრის,
იყოს ყოველთვის ქალი.
იყოს ამინდი ცუდი
და მაწუხებდეს ქარი.

ციცინო ჯარსაულიძე

„ჭადრაკი – 2014“

თენგიზ კოგიაშვილი

მსოფლიოს საჭადრაკო სიახლეები

ქ. ერევანში 2-დან 15 მარტის ჩათვლით გაიმართა ევროპის ჩემპიონატის ეგიდით მსოფლიოს მე-9 ჩემპიონის ტიგრან პეტროსიანის მემორიალი, რომელშიც მონაწილეობდა მსოფლიოს 260-მდე საუკეთესო მოჭადრაკე. ფავორიტთა შორის არიან: ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი), პაველ ელიანოვი (უკრაინა), მსოფლიოს უძლიერესი ქალი მოჭადრაკე უნგრელი იუდიტ პოლგარი, რადისლავ ვოიტაშეკი (პოლონეთი) და სხვები. ფავორიტთა შორის არის საქართველოს ნაკრების ლიდერი ბაადურ ჯობავა. ამ ჩემპიონატის საბოლოო შედეგებს გაზეთის მორიგ ნომერში შემოგთავაზებთ.

***

2014 წლის 19-30 აპრილს აზერბაიჯანის ქ. შამკირეში გაიმართება ცნობილი აზერბაიჯანელი დიდოსტატის ვუგარ გაშიმოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს 6 სუპერდიდოსტატი - მსოფლიოს დღევანდელი ჩემპიონი მაგნუს კარლსენი (ნორვეგია), ფაბიანო კარუანა (იტალია), ხიკარუ ნაკამურა (აშშ), სერგეი კარიაკინი (რუსეთი), შახრიარ მამედიაროვი და თეიმურ რაჯაბოვი (ორივე აზერბაიჯანი).

***

მსოფლიოს ჩემპიონი მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) – „მეგობრული ვიზიტით“ იმყოფებოდა ბრაზილიაში. მის პროგრამაში იყო შემოკლებული დროით ორწრიანი ტურნირი, სადაც მისი მეტოქეები იყვნენ ბრაზილიელები რაფაელ ლეიტანი და ჟილბერტო მილოში და ურუგვაელი ანდრეს როდრიგესი. მაგნუსმა იოლად დაამარცხა მეტოქეები, მხოლოდ 1 პარტიაში შეძლო ყაიმის მიღწევა მილოშმა.

ქართული საჭადრაკო სიახლეები

თბილისში დასრულდა საქართველოს ქალთა 71-ე ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა). 1 ტურით ადრე საქართველოს ჩემპიონის ტიტული მესამედ მოიპოვა 2008 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულმა ლელა ჯავახიშვილმა 11-დან 9,5 ქულით და II-III ადგილებზე გასულ ნინო ხურციძეს და ბელა ხოტენაშვილს 1.5 ქულით გაასწრო. ქვეჟნის ახალმა ჩემპიონმა პირველი ადგილისათვის დაწესებულ ოქროს მედალთან და სპეციალურ თასთან ერთად გამარჯვებისათვის დაწესებული 5500 ლარი და 2014 წლის ევროპის ქალთა ინდივიდუალური ჩემპიონატის დაფინანსება მოიპოვა. ბოლო ტურამდე უცნობი იყო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლის მფლობელთა ვინაობა. ამ ადგილებზე პრეტენზიას აცხადებდნენ ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი ნინო ხურციძე (7,5 ქულა), ბელა ხოტენაშვილი (7 ქულა) და ქვეყნის ეროვნული ნაკრების წევრი მერი არაბიძე (6,5 ქულა), ასევე საერთაშორისო დიდოსტატი სოფო გვეტაძე (6,5 ქულა). ბოლო ტურში ნ. ხურციძე დაუზავდა ს. გვეტაძეს და გაუხდა 8 ქულა. სოფო ნიკოლაძის დამარცხებით ბ. ხოტენაშვილსაც გაუხდა 8 ქულა, მაგრამ უკეთესი კოეფიციენტით მეორე ადგილი დაიკავა ნინო ხურციძემ, ხოლო მესამე – ბელა ხოტენაშვილმა. მათ შესაბამისად მიიღეს 4500 და 3500 ლარი. მეოთხე იყო სოფო გვეტაძე 7 ქულა (2500 ლარი), მეხუთე ადგილზე მერი არაბიძე (6,5 ქულა, 1500 ლარი). შემდეგი ადგილები ასე განაწილდა: 6. ნინო ბაციაშვილი – 6 ქულა, 7. სოფო გურამიშვილი – 6 ქულა, 8. ინგა ხურცილავა – 4,5 ქულა, 9. ნინო ხომერიკი – 3,5 ქულა, 10. ანა კუჭავა – 2,5 ქულა, 11 სოფო ნიკოლაძე – 2,5 ქულა, 12 ნანი უნაფქოშვილი – 2 ქულა. აქვე აღვნიშნავთ, რომ საგარეჯოს საჭადრაკო ისტორიაში ნანი უნაფქოშვილი პირველი ქალია, რომელმაც ითამაშა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, რაც წარმატებად უნდა ჩაითვალოს. იმედია, რომ ნანი მომავალში უფრო წარმატებით იასპარეზებს და უფრო მაღალ სპორტულ მწვერვალებს დაიპყრობს.

ბათუმში 2014 წლის 18-29 ოქტომბერს გაიმართება ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (8-18 წლამდე ასაკის გოგონებსა და ჭაბუკებს შორის), ამასთან დაკავშირებით ბათუმში საინსპექციო ვიზიტით იმყოფებოდა ევროპის საჭადრაკო კავშირის საპრეზიდენტო საბჭოს წევრი ალმოგ ბურნშტეინი. მან საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის გენერალურ მდივანთან აკაკი იაშვილთან ერთად ინსპექტირება გაუწია ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრებისათვის მზადების პროცესს.

„ჭადრაკი – 2014“

ჩვენი მოჭადრაკეები – უძლიერესები რეგიონში



10 წლიან გოგონებში 6 ქულით დამაჯერებლად გაიმარჯვა ეთერ ხებრელაშვილმა, 3,5 ქულით II იყო თამარ არჩუაძე, ხოლო მესამე – 3 ქულით ლიკა ტიგინაშვილი.

12 წლიან ბიჭებში 6.5 ქულით პირველობა არავის დაუთმო ლუკა გურჯიძემ, 4,5-4,5 ქულით II-III ადგილები გაიყვეს ლუკა ღვინიაშვილმა და ზუკა ბუზარიაშვილმა.

12 წლიან გოგონებში 7 ქულით პირველი იყო ეკა ჭყონია, 4,5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა თინათინ დალბაშვილმა, ხოლო 4 ქულით მესამე იყო სალომე ბედენაშვილი. გამარჯვებულებს დიპლომები და მედლები საზეიმო ვითარებაში გადასცეს აიპ საგარეჯოს სპორტული გაერთიანების დირექტორმა გია მაისურაძემ და ცნობილმა მოჭიდავემ, საერთაშორისო სპორტის ოსტატმა ტარიელ როსტომაშვილმა.

გია მაისურაძე – *აიპ საგარეჯოს სპორტული გაერთიანების დირექტორი:*

– პირველობამ ცხადყო, რომ ჭადრაკის შესწავლით მრავალი ბავშვია დაინტერესებული, რაც მისასალმებელი ფაქტია. ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკის ნანი უნაფქოშვილის კვალს წარმატებით მიჰყვებიან – 8 წლიან ბიჭებში საქართველოს ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ლევან დალბაშვილი, საქართველოს ვიცე-ჩემპიონი, ასევე მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ნიკა კევლიშვილი, საქართველოს პირველობის პრიზიორები, სხვადასხვა მემორიალების, ტურნირების პრიზიორები, გამარჯვებულები – ლუკა გურჯიძე, ლალი გარსიაშვილი, ეთერ ხებრელაშვილი, თამაზ გილაშვილი და სხვები. ამ პირველობამაც გამოავლინა პერსპექტიული ნორჩი მოჭადრაკეები – გიგი ივანელაშვილი, ზუკა გამრეკელაშვილი, ლუკა ივანელაშვილი, ეკა ჭყონია, თამარ არჩუაძე, ლიკა ტიგინაშვილი, თინათინ დალბაშვილი და სხვები, რაც მწვრთნელების ნაყოფიერ მუშაობაზე მეტყველებს, მაგრამ მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ, ჩვენის მხრიდან ძალისხმევას არ დავიშურებთ, რომ წარმატებულ, ნორჩ მოჭადრაკეებს და მათ მწვრთნელებს ვარჯიშის, მეცადინეობის უკეთესი პირობები შევუქმნათ, რათა მათ უფრო მაღალი სპორტული მწვერვალები დაიპყრონ. უახლოეს ხანში მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მოვაწყობთ შეკრებას.

ელენე ფარეშიშვილმა მადლობა გადაუხადა აიპ საგარეჯოს სპორტული გაერთიანების ხელმძღვანელობას, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობას – ჭადრაკისადმი თანადგომისა და დახმარებისათვის, რაც მეტ სტიმულს იძლევა მომავალი წარმატებებისათვის.

* * *

8-9 მარტს ქ. სიღნაღში ჩატარდა კახეთის პირველობა 10 წლის ასაკის გოგონებსა და ბიჭებს შორის, რომელიც საგარეჯოელი ნორჩი მოჭადრაკეების სრული უპირატესობით წარიმართა. 10 წლიან ბიჭებში სამივე საპრიზო ადგილები – I-II და III დაიკავეს ჩვენმა მოჭადრაკეებმა. I ადგილი 6 ქულით ნიკა კევლიშვილმა დაიკავა, II-III ადგილები 5.5-5.5 ქულით გაიყვეს ლუკა გურჯიძემ და ლევან დალბაშვილმა, უკეთესი კოეფიციენტით II ადგილი დაიკავა ლუკა გურჯიძემ. სამივე მოჭადრაკემ მოიპოვა საქართველოს პირველობის უმაღლესი ლიგის საგზური, რაც უდაოდ დიდი წარმატებაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ პირველობის ყველაზე ნორჩი მონაწილის ლუკა გამრეკელაშვილის წარმატება. 6 წლის ზუკამ ტოლი არ დაუდო მასზე 3-4 წლით უფროსებს და 10 წლამდე ასაკის ბავშვებში დამაჯერებლად დაიკავა IV ადგილი 4.5 ქულით. როგორც მისი მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე აღნიშნავს, ზუკა თუ ასეთი მონდომებით გააგრძელებს მეცადინეობას ჭადრაკში, მისგან ახლო მომავალში დიდი წარმატებებს უნდა ველოდეთ.

აქ სპორტს მეტ ყურადღებას დაუთმობენ

ქართველი ოლიმპიელები მუღანლოს საჯარო სკოლაში

ამიმდინარე წლის დასაწყისიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანულენოვანი სოფლების მოზარდებისათვის ერთ ფრიად მნიშვნელოვან და სასიკეთო საქმეს ჩაეყარა საფუძველი. პირველად რაიონის ისტორიაში, მუღანლოს საჯარო სკოლის სპორტდარბაზის ბაზაზე ჩამოყალიბდა ძიუდოსა (მწვრთნელი მ. ქურხული) და თავისუფალი ჭიდაობის (მწვრთნელები დ. ნანუაშვილი, ზ. ლაფერიშვილი), ასევე ფეხბურთის (მწვრთნელი მ. ნიჟარაძე), სექციები, რომელშიც 250-მდე აზერბაიჯანელი ეროვნების მოზარდი გაერთიანდა აღნიშნული სპორტული სექციების მუშაობის დაფინანსება, როგორც ჩვენთან საუბარში საგარეჯოს სპორტული გაერთიანების დირექტორმა გიორგი მაისურაძემ აღნიშნა, შესაძლებელი გახდა საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის, პარლამენტარ თინათინ ხიდაშელის მიერ მოძიებული ამერიკული გრანტის მეშვეობით. ამ თანხით, მწვრთნელების ხელფასების გარდა, სკოლის ადმინისტრაციასთან გაფორმდა ხელშეკრულება სპორტული დარბაზით სარგებლობაზე. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ზემოაღნიშნული სექციების აღსაზრდელების გარდა, ამ სკოლის სპორტულ დარბაზში 40-ზე მეტი აქაური მოსწავლე მწვრთნელ იბრაგიმ მამედოვის ხელმძღვანელობით კლუბ „იაგუარში“ ეუფლება შერეული ორთაბრძოლების ხელოვნებას, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მუღანლოს საჯარო სკოლა უკვე იქცა ჩვენი პატარა აზერბაიჯანელი თანამოქალაქეების სპორტული აღზრდის კერად, საიდანაც ამ ახლო მომავალში ახალ-ახალ წარმატებებს უნდა ველოდოთ.

ამ საქმით მუნიციპალიტეტისა და სპორტული გაერთიანების, ქართული სპორტის მესვეურების ფართო დაინტერესებაზე, მეტყველებს ის აქციაც, რომელიც გასული თვის მიწურულს ამ სკოლაში მოეწყო – კერძოდ 27 თებერვალს ამ სპორტული სექციების აღსაზრდელებსა და აზერბაიჯანულენოვანი სკოლების დირექტორებს ეწვივნენ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები ვიცე-პრეზიდენტ ელგუჯა ბერიშვილის თავკაცობით. მათ შორის ცნობილი ქართველი ოლიმპიელები: კახი კახნიაშვილი, რომან რურუა, ვახტანგ ბლაგიძე, გელა კეტაშვილი და სხვები. მათთან ერთად აზერბაიჯანელ პატარებთან შესახვედრად და სპორტულ საქმიანობაზე სასაუბროდ აქ მობრძანდნენ პარლამენტარი თინათინ ხიდაშელი, ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ლოლაძე, საგარეჯოს სპორტული გაერთიანების დირექტორი გიორგი მაისურაძე.

შეხვედრაზე საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებმა და სპორტსმენებმა ისაუბრეს ქართული სპორტის, მისი ცალკეული სახეობების განვითარების, ისტორიასა და პერსპექტივებზე, აღნიშნეს სპორტის როლზე ფიზიკურად, ზნეობრივად და მორალურად ჯანსაღი თაობების აღზრდის საქმეში და იქ დამსწრე სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელებს მოუწოდეს ფართო პროპაგანდა გაუწიონ თავიანთ აღსაზრდელებს სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩასაბმელად.

აქვე მოეწყო გამოკითხვა ქართული სპორტის შესახებ, რომელშიც გამარჯვებული პატარები დაჯილდოვდნენ პრიზებით – წიგნებით. შეხვედრაზე ქართული სპორტსმენები, მუნიციპალიტეტის გამგეობისა და სპორტული გაერთიანების ხელმძღვანელები აქაურ პატარებს და მათ აღსაზრდელებს შეპირდნენ, რომ ეს შეხვედრა არ იქნება ერთჯერადი და ისინი მომავალშიც მიაქცევენ მათ ყურადღებას.

გ. დაგახიშვილი

თავისუფალი ჭიდაობა

საქართველოს პირველობის პრიზიორები საგარეჯოდან

თებერვლის მიწურულს თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა ჭაბუკთა შორის ტავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც 10 საგარეჯოელი ფალავანიც იღებდა მონაწილეობას. მათგან ფინალურ შეხვედრამდე დაუმარცხებლად განვლო გზა 69 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე გიგა შიოშვილმა, თუმცა გადამწყვეტ ორთაბრძოლაში სათანადო მეტოქეობა ვერ გაუწია მოწინააღმდეგეს და მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა. პირველობის ჩემპიონობის რეალური შანსი გააჩნდა მეორე საგარეჯოელ ფალავანს – ლევან ბოჭორიძეს, მაგრამ, სამწუხაროდ ვერ გამოიყენა ეს შესაძლებლობა და საბოლოოდ მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა.

გ. დაგახიშვილი

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს სახელოვან თანამემამულეს, თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოში აღიარებულ ფალავანს, ორგზის ოლიმპიური თამაშების, ხუთგზის მსოფლიოს, მრავალგზის ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონს, ბეჭდაუდებელ ფალავანს, საქართველოს ჭეშმარიტ მამულიშვილსა და გულშემატკივარს **ლევან თედიაშვილს**. კაცს, ლეგენდას, რომელმაც თავისი ადამიანობით, ბუნებიდან მონიჭებული ნიჭით, სიალალით და სიკეთით ქართველი კაცის ფენომენი მსოფლიოს გააცნო.

დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას გისურვებთ ბ-ნო ლევან, გაიხარეთ თქვენს ოჯახთან ერთად.

სიყვარულითა და პატივისცემით

აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანება.

ქალები და ძიუ-დო

პირველი ნაბიჯები, პირველი გამარჯვებები

ერთი თვეა, რაც საგარეჯოს სპორტგაერთიანებაში ფუნქციონირება დაიწყო ძიუდოისტ გოგონათა სექციამ, რომელსაც მწვრთნელი ლუდა ფერაძე ხელმძღვანელობს. აქ უკვე 17 გოგონაა. მათ პირველი „ნათლობაც“ მიიღეს – 2 მარტს პატარა ჩაილურში გამართულ სახალხო დღესასწაულზე „ბერიკობა“ მათ თავიანთი სპორტული შესაძლებლობები აჩვენეს. გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ: მარიამ კოხტაშვილი (საგარეჯოს II საჯარო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლე) და ხატია მინდიაშვილი (საგარეჯოს IV საჯარო სკოლა). სექციაში, ასევე, წარმატებით ვარჯიშობენ ხათუნა თვაური (საგარეჯოს IV საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლე) და დები – ნელი, ნინო (საგარეჯოს I საჯარო სკოლის მეათეკლასელები) და სალომე (V კლასის მოსწავლე) გულისაშვილები, ვარდო ბუჩაშვილი (გიორგიწმინდის საჯარო სკოლის მოსწავლე).

როგორც სექციის ხელმძღვანელმა ქნმა ლუდამ აღნიშნა, გოგონები ძალიან მონდომებული არიან, მოწესრიგებული, მუდამ საწვრთნელ რეჟიმში მყოფები ალბათ მალე მიაღწევენ წარმატებებს. მან აქვე გვთხოვა, გაზეთის საშუალებით მადლობა გადაგვეხადა საგარეჯოელი ქალბატონი თამარ ქურდოვანიძისათვის, რომელმაც სექციის 5 გოგონას ძიუდოს სპეციალური ფორმა – კიმანო უსასყიდლოდ, საჩუქრად გადასცა. – ეს მათ ავალებთ – კიდევ უფრო მეტი სერიოზულობით მოეკიდონ ვარჯიშს და წარმატებების მისაღწევად ჯერ იშრომონ, შემდეგ კი იბრძოლონ. ძალიან მალე, მარტის ბოლოს ჩვენ მიწვეული ვართ წეროვანში ძიუდოისტ გოგონათა შეჯიბრზე და ეჭვიც არ მეპარება, საგარეჯოელი გოგონები დიდ წარმატებებს მიაღწევენ.

წარმატებებს გისურვებთ!

პედაგოგთა შეხვედრა

ერთმანეთის შემოქმედება გაიცნეს

7 მარტს მარტის დღესასწაულები – დედის და ქალთა საერთაშორისო დღეები აღნიშნეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების შემოქმედი პედაგოგების ერთმა ნაწილმა. საგარეჯოს კულტურის სასახლის ფოიეში მოწყობილმა კაფესადამომ შემოქმედი ქალების ნამუშევრები, მათი ნიჭი და სახელოვნებო უნარი წარმოაჩინა. ამ დღეს ერთმანეთს ეპაექრებოდნენ ლექსსა და სიმღერაში, ცეკვაში. მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც გამოფენა იყო, სადაც ის ნამუშევრები იყო წარმოდგენილი, რომლებიც პედაგოგთა მიერ იყო შესრულებული. აქ იყო საგარეჯოს IV საჯარო სკოლის დაწყებითი განათლების საფეხურის პედაგოგების მარიანა შიოშვილის, ირმა შველიძის ნახატები, შრომითი სწავლების მასწავლებლის ნელი ბასილაშვილის ნაქარგები, წყაროსთავის საჯარო სკოლის მასწავლებლის მარინე ბუჩუკურის ნაქარგით შესრულებული სუფრები, მანავის საჯარო სკოლის მასწავლებლის მარინე საბაშვილის ნაქარგები, თოხლიაურის საჯარო სკოლის ხელოვნების მასწავლებლის ნათია გულისაშვილის ნახატები, კაკაბეთის საჯარო სკოლის ხელოვნების მასწავლებლის თამილა ჯოხაძის მიერ შესრულებული ნახატები.

ეს დღე კეთილსამახსოვროდ დარჩებათ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის პედაგოგებს, რომელთაც ერთმანეთის შემოქმედება უფრო ახლოს გაიცნეს და ხელოვნებამ კიდევ უფრო დააკავშირათ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგარეჯოს რესურს-ცენტრის დირექტორის მანანა ცუცქირიძის ინიციატივით მარტის დღესასაწაულების ასეთი სახით პედაგოგებისათვის მილოცვამ მართლაც რომ დიდი სიხარული და კმაყოფილება გამოიწვია – შემდეგში ხელოვანი პედაგოგები უფრო ფართო მასტაბით შეეცდებიან თავიანთი ნამუშევრების წარმოდგენას ფართო აუდიტორიის წინაშე.

ბანცხადება

2014 წლის 12 მაისს 14 საათზე ქ. საგარეჯოში დ. აღმაშენებლის ქუჩა № 9-ში (საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა) გაიმართება შპს „მირაბილიტი მაინინგი“-ს მიერ მშენებარე (რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია) მირაბილიტის (ნატრიუმის სულფატი) გადასამუშავებელი საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია ქვეყნის საწარმოებისათვის მირაბილიტის (ნატრიუმის სულფატი) მიწოდება.

საწარმოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

ქ. თბილისი, გულუას ქ. №6. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი);

შპს „მირაბილიტი მაინინგი“ ქ. თბილისი, მცხეთის ქ. №20, მცხეთის I შესახვევი №3, ბინა 7.

ქ. თბილისი, ჩიქოვანის ქუჩა №4-6-8-10;

შპს „გუკა“ ქ. თბილისი, აბო თბილელის ქ. №12

საზოგადოების წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესახებ საკუთარი მოსაზრებების და კომენტარების გამოგზავნა შეუძლიათ შემდეგ მისამართებზე:

* ქ. თბილისი, მცხეთის ქ. №20, მცხეთის I შესახვევი №3, ბ-7;
* ქ. თბილისი, ჩიქოვანის ქუჩა 4-6-8-10;

საკონტაქტო პირები: დავით მაღლაკელიძე. ტელ: 599 339 393;
გენადი უბირია. ტელ: 579 02 01 10

მოსაზრებების და კომენტარების წარმოდგენის ვადაა 2014 წლის 1 მაისი, 18 საათამდე.

შპს „მირაბილიტი მაინინგი“-ს ადმინისტრაცია

ქართულ-ებრაული ერთობლივი მასტერკლასები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტულმა გაერთიანებამ ისრაელის ძიუდოს კლუბს უმასპინძლა. ძიუდოისტმა გოგონებმა და ვაჟებმა ერთობლივი ვარჯიში სპორტსკოლის შენობაში გაიარეს, მათ ერთმანეთს ქართული და ებრაული მასტერკლასები გააცნეს.

ვარჯიშის შემდეგ სტუმრებმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არსებული ღირსშესანიშნაობები მოინახულეს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის სამსახურის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე სამსახურის უფროს საჯარო მოხელეს ხაზინის საკითხებში მანანა ხიზანიშვილს მეუღლის

აკაკი შალვაშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს მანანა ხიზანიშვილს მეუღლის

აკაკი შალვაშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ქალაქის ტერიტორიული ორგანოს მთავარ სპეციალისტს მიშა შათირიშვილს მამის

გივი შათირიშვილის

გარდაცვალების გამო.